პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 279 (9747) | ხუთშაბათი, 26 ნოემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
უზრუნველყოთ საანგარიშო-საარჩევნო კრებების მაღალი იდეურ-პოლიტიკური დონე. — როცა კრება მოუმზადებელია. კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით. კომუნისტების მაღალი აქტივობა (მე-2 გვერდი).
ა. დავითაშვილი. — პარტიის რაიკომი და ბრძოლა მეევნახეობის აღმავლობისათვის (მე-2 გვერდი).
ბრძანებულებები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (მე-2 გვერდი).
საყურადღებო „წვრილმანები“ (მე-3 გვერდი).
გ. ბოკუჩავა. — ენერგეტიკოსები სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში (მე-3 გვერდი).
მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიაზე. ომის ეკონომიკის გამოსვლა (მე-3 გვერდი).
ჩინეთ-კორეის ეკონომიური და კულტურული [illegible] ლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის გამო. ჯოუ ენ-ლაისა და კიმ ირ სენის სიტყვები (მე-4 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესია (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

პარტიული ორგანოების ანგარიშგება და არჩევნები

ნოემბრის მეორე ნახევრიდან საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში დაიწყო ხელმძღვანელი ორგანოების ანგარიშგება და არჩევნები.

პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებით, რასაც შემდეგ რაიონული, საქალაქო და საოლქო კონფერენციები მოჰყვება, მთელ რესპუბლიკაში ფართოდ გაჩაღდა მზადება საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობისათვის.

საანგარიშო-საარჩევნო კრებების ყურადღების ცენტრშია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და ამ გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული დიდმნიშვნელოვანი დადგენილებანი. პარტიული მასები ყოველმხრივ ამოწმებენ და გულდასმით აფასებენ საანგარიშო პერიოდში გაწეულ მუშაობას, ულმობლად ამხილებენ ნაკლოვანებებს, აყენებენ კონკრეტულ წინადადებებს საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის მიერ დასახულ დიდ ღონისძიებათა განსახორციელებლად, ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და მშრომელთა კეთილდღეობის მკვეთრი აღმავლობის მისაღწევად.

კომუნისტები დიდ ყურადღებას აქცევენ და ყოველმხრივ განიხილავენ შინაპარტიული საქმიანობის, კადრების მარქსისტულ-ლენინური სწავლების, მასებში პოლიტიკური მუშაობის, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის საკითხებს. პარტიული მასების დიდი აქტივობით მომდინარეობს საანგარიშო-საარჩევნო კრებები გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობებში. მაგალითად, თელეთის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე კომუნისტებმა საქმიან ვითარებაში განიხილეს საანგარიშო მოხსენება. ისინი მწვავედ აკრიტიკებდნენ მუშაობის ნაკლოვანებებს, ლაპარაკობდნენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის, კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების განვითარების კონკრეტულ ღონისძიებებზე.

სასოფლო პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი როლი უნდა შეასრულონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და ამ გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული დიდმნიშვნელოვანი დადგენილებანი. პარტიული მასები ყოველმხრივ ამოწმებენ და გულდასმით აფასებენ საანგარიშო პერიოდში გაწეულ მუშაობას, ულმობლად ამხილებენ ნაკლოვანებებს, აყენებენ კონკრეტულ წინადადებებს საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის მიერ დასახულ დიდ ღონისძიებათა განსახორციელებლად, ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და მშრომელთა კეთილდღეობის მკვეთრი აღმავლობის მისაღწევად.

ანგარიშგება-არჩევნების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარებამ უნდა გამოიწვიოს სოფლად პარტიული მუშაობის ძირფესვიანი გაუმჯობესება. მაგრამ მთელმა რიგმა სასოფლო პარტიულმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ მოაწყეს მუშაობა ახლებურად. სერიოზული ნაკლოვანებებია აფხაზეთის ასსრ ბევრი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში. ამას წინათ პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა, რომ გულრიფშის რაიონის სოფელ წებელდის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია სუსტად მუშაობს და რომ ამის გამო საარტელო მეურნეობაც ჩამორჩება. სამწუხაროდ, გულრიფშის რაიონში ასეთი თავმნებებული პარტიული ორგანიზაციები არც ისე ცოტაა.

საჭიროა საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ულმობლად, მთელი პირდაპირობით ვამხილოთ სასოფლო პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებანი, დავსახოთ ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების კონკრეტული გზები. პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები უნდა გადაიქცეს იმის მძლავრ საშუალებად, რომ მთელი ძალები დავრაზმოთ სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საბრძოლველად. სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანა მოითხოვს ყოველმხრივ გავაუმჯობესოთ და სრულყოთ პარტიის რაიკომების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციების მუშაობის სტილი და მეთოდები.

ანგარიშგება და არჩევნები დიდი მოვლენაა თვითეული პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში. საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტები განიხილავენ და აჯამებენ პარტიული კოლექტივის მუშაობის შედეგებს, სახალხო პრაქტიკულ ღონისძიებებს, ირჩევენ ხელმძღვანელ ორგანოებს. პარტიის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტების მოვალეობაა კონკრეტულად, ოპერატიულად უხელმძღვანელონ ანგარიშგება-არჩევნებს, უზრუნველყონ პარტიული კრებების მაღალი იდეურ-პოლიტიკური დონე. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ პარტიული კომიტეტების მდივნები პირადად ესწრებოდნენ საანგარიშო-საარჩევნო კრებებს, უშუალოდ ეცნობოდნენ საქმის ნამდვილ მდგომარეობას ადგილებზე. ანგარიშგება-არჩევნებისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობით იმას უნდა მივაღწიოთ, რომ პარტიული კრებები მომზადებულად, კომუნისტების მაღალი აქტივობით ეწყობოდეს.

ზოგიერთ პარტიულ მუშაკს საანგარიშო-საარჩევნო კრება მომზადებულად მიაჩნია, თუ მზად არის საანგარიშო მოხსენება, შედგენილია დადგენილების პროექტი და წინასწარ ჩამოწერილია კამათი მონაწილეთა სია. ცხადია, რომ ამგვარად მომზადებულ კრებაზე კომუნისტები სტუმრებივით გრძნობენ თავს. საანგარიშო მოხსენება მნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტია და მის შედგენას დიდი ყურადღებითა და გულისხმიერებით უნდა მოვეკიდოთ. მასში ღრმად უნდა აესახოს მიღწეული წარმატებანი და შუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. შინაარსიანი მოხსენება აცხოველებს კრების საქმიანობას, ხელს უწყობს კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას. ანგარიშგება-არჩევნებისადმი ცუდი, არაოპერატიული ხელმძღვანელობა კი იწვევს კრების არაორგანიზებულად ჩატარებას, ხოლო ზოგჯერ მის გადადებას ან ჩაშლას. სწორედ პარტიის რაიონული კომიტეტის მხრივ არაკონკრეტული ხელმძღვანელობით უნდა აიხსნას ის, რომ თბილისის კალინინის რაიონში უკვე იყო კრების ჩაშლის სამი შემთხვევა.

საანგარიშო-საარჩევნო კრება კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართო ტრიბუნაა. აუცილებელია ყველა პირობა შეექმნათ იმისათვის, რომ თვითეული კომუნისტი სარგებლობდეს სრული უფლებით განიხილოს გაწეული მუშაობის შედეგები, პირუთვნელად გააკრიტიკოს ნაკლოვანებანი, დაასახელოს და ხელმძღვანელ ორგანოებში აირჩიოს მოწინავე ამხანაგები. არავის არ უნდა მიეცეს შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევის, კრიტიკის ჩახშობის, პარტიის წევრის უფლებათა ოდნავი შელახვის ნება. საჭიროა ურყევად დაცვათ პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპები და შინაპარტიული ცხოვრების ნორმები.

პარტიის წესდების მოთხოვნების აშკარად დარღვევით გაიმართა საანგარიშო-საარჩევნო კრება თბილისის ქალთა მე-15 საშუალო სკოლის პარტიულ ორგანიზაციაში. იმის მომიზეზებით, რომ კომუნისტ ა. კაჭახიძეს დაკარგული აქვს პარტიული ბილეთი, მას უფლება წაართვეს მონაწილეობა მიეღო პარტიიურის წევრთა არჩევნებში. ხოლო პარტიის სტალინის რაიკომს დღემდე არ მიუღია ზომები საანგარიშო-საარჩევნო კრების მიერ დაშვებული შეცდომის გამოსასწორებლად, შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევის აღსაკვეთად.

პარტიული ხელმძღვანელები მოწოდებული არიან გულისხმიერად დაუგდონ ყური პარტიის წევრთა შენიშვნებსა და წინადადებებს. კომუნისტთა საქმიანმა წინადადებებმა გამოხატულება უნდა ჰპოვონ პარტიული კრებებისა და კონფერენციების მიერ მიღებულ დადგენილებებში. დადგენილება კომუნისტების განაწესია ახლადარჩეული ხელმძღვანელი ორგანოსადმი. ამიტომ ანგარიშგება-არჩევნების მეორე დღეს-ვე ყველა კომუნისტი მჭიდროდ უნდა დაირაზმოს მიღებული დადგენილების პრაქტიკულად შესრულებისათვის საბრძოლველად.

ხელმძღვანელი ორგანოების ანგარიშგება-არჩევნების მომზადებულად, ორგანიზებულად, პარტიის წესდების მოთხოვნების ურყევად დაცვის საფუძველზე ჩატარება ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. საანგარიშო-საარჩევნო კრებების მაღალი იდეურ-პოლიტიკური დონე ხელს შეუწყობს საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის შემდგომ გაძლიერებას, პარტიის XIX ყრილობის დადგენილებების, სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების წარმატებით განხორციელებას.

3. ი. ლენინის ნაწარმოებნი ბულგარულ ენაზე

სოფია. (საკდესი). ბულგარულ ენაზე გამოვიდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა 35-ე ტომი.

ვ. ი. ლენინის თხზულებანი ბულგარეთში გამოცემულია 700 ათასი ცალი საერთო ტირაჟით.

ჩვენს დიად სამშობლოში

მოსკოვი. სამოტეჩნი ბულვარზე გაიხსნა მონუმენტი სახელგანთქმული მფრინავ-გამანადგურებლის ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის პოდპოლკოვნიკ ვ. ი. პოპკოვისა, რომელმაც დიდი სამამულო ომის დროს ფაშისტთა 40 თვითმფრინავი ჩამოაგდო. მონუმენტი შესრულებულია სტალინური პრემიის ლაურეატის მოქანდაკე ლ. კერბელისა და არქიტექტორ ლ. გოლუბოვსკის მიერ. **სურათზე:** ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ვ. ი. პოპკოვი თავისი ოჯახით მონუმენტთან.

ფოტო ა. სტუფენისა და ა. ლესისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

მოსკოველი და ქართველი მეფეხსაცმელეთა შეჯიბრება

მტკიცე მეგობრობა აკავშირებს მოსკოვის ფაბრიკა „პარიეტსკაია კომუნის“ კოლექტივს ჩვენი ქვეყნის ბევრი ქალაქის ფეხსაცმლის საწარმოებთან. ფაბრიკის მუშაკები გულთბილად შეხვდნენ საქართველოს სსრ ფეხსაცმლის საწარმოთა მოწინავე მუშების, ინჟინრების, საამქროების უფროსების ჯგუფს, რომელიც მოსკოვს ჩამოვიდა. სტუმრები რამდენიმე დღის მანძილზე დაწვრილებით ეცნობოდნენ წარმოების ორგანიზაციას, ფეხსაცმლის დამზადების ტექნიკასა და ტექნოლოგიას, შრომის ნოვატორულ ხერხებს. ფაბრიკის კლუბში გაიმართა მოწინავე კოლექტივიისა და ქართველ მეფეხსაცმელეთა შეხვედრა.

მოსკოველებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს საქართველოს მეფეხსაცმელეები. ფაბრიკა „პარიეტსკაია კომუნის“ კოლექტივმა იკისრა მომავალ წელს წარმოებაში დანერგოს 70 ახალი მოდელი, კომპლექსური მომჭირნეობით მიღებული ტყავით შეკეროს სულ ცოტა 200 ათასი წყვილი ფეხსაცმელი. გადაწყდა დახმარება გაუწიონ საქართველოს ფეხსაცმლის საწარმოებს ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ათვისებაში, ფართოდ გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება.

საქართველოს მეფეხსაცმელეთა დელეგაციამ მოსკოველთა გამოწვევა მიიღო. (საკდესი).

მოსკოვი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან

ტელევიზორები მოსახლეობას

სულ უფრო მეტი რაოდენობით იძენენ ტელევიზორებს მოსკოვის, ლენინგრადის და კიევის მშრომელები. უახლოეს ხანში სატელევიზიო ცენტრები მოეწყობა ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ სხვა ქალაქებშიც.

ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად ფართოვდება ტელევიზორების გამოშვება და უმჯობესდება მათი კონსტრუქცია. მომავალი წლიდან დაიწყება ახალი ტიპების სატელევიზიო აპარატების — „პიონერის“, „ავანგარდის“, „სევერის“ და სხვ. გამოშვება.

მომავალ წელს დაიწყება აგრეთვე კოლექტიური სარგებლობისათვის სატელევიზიო ანტენების გამოშვება, რომელთაგან თვითეული შეცვლის 40-50 ინდივიდუალურ ანტენას და უზრუნველყოფს გადაცემათა უკეთეს ხარისხს.

დედაქალაქის ახალი კინოთეატრები

ყოველწლიურად იზრდება კინოთეატრების ქსელი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში. ამჟამად კინოთეატრები ეწყობა მოსკოვის ახლად აშენებულ მაღალ სახლებში, ნოვაია პესჩანაიას ქუჩაზე, მოჟაისკის გზატკეცილზე აგებულ ახალ სახლებში. კოტელნიკის სანაპიროზე აგებულ ახალ მაღალ სახლში იხსნება 300-ადგილიანი კინოთეატრი, ხოლო მაღალ სახლში აჯანყების მოედანზე — ორდარბაზიანი კინოთეატრი 270 ადგილით თვითეულ დარბაზში.

ორდარბაზიანი 800-ადგილიანი კინოთეატრის დიდი შენობა შენდება ენთუზიასტთა გზატკეცილზე.

სულ დედაქალაქში ამჟამად შენდება და ეწყობა ათი კინოთეატრი, რომელთაგან უმრავლესობა საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნება წელსვე.

სატრიკოტაჟო ნაწარმი

სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს ცენტრალური საასორტიმენტო კაბინეტის ორ სადემონსტრაციო დარბაზში გაიმართა ტრიკოტაჟისა და თეთრეულის დიდი გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო საბჭოთა კავშირის 36 ფაბრიკის 4.000-მდე ნიმუშის ნაწარმი, აქედან 1.000-მდე ნიმუში ახალია.

„გლავტრიკოტაჟის“ სამხატვრო საბჭომ საწარმოთა და სავაჭრო ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან ერთად დიდი მუშაობა გასწია მასობრივი წარმოებისათვის ახალი საუკეთესო ნიმუშების შესარჩევად. ზამთრის სეზონისათვის გამოშვებულ იქნება ახალი ნიმუშების ქალთა ჟაკეტები, ბავშვთა პალტოები და სათხილამურო კოსტიუმები. მასობრივად დამზადდება აგრეთვე შალის და ნახევრადშალის საბავშვო კოსტიუმები ქუდითა და ყელსახვევით.

ახალი ოპერა

23 ნოემბერს კომპოზიტორის ცენტრალურ სახლში მოისმინეს მონტაჟი გ. ტიხომიროვის ახალი ისტორიული ოპერისა „ივაშკა პერესვეტ“ (ლიბრეტო ვ. ლატოვისა).

ოპერის მოქმედება ეკუთვნის ივანე IV (მრისხანეს) მეფობის პირველ წლებს. ნაწარმოების გმირი — ივანე პერესვეტი — ისტორიული პირია, რომელიც ივანე IV-ს ეხმარებოდა ბოიარინების წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის სახელმწიფოს განმტკიცებისა და გაერთიანებისათვის.

ახალი ნაწარმოები შეასრულა სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების საბჭოთა ოპერის ანსამბლმა.



რიგა. ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა პროფესორმა ი. ვ. პეივემ შექმნა მოძრავი ლაბორატორია კოლმეურნეობებისა და მტს-ებისათვის. ლაბორატორია შედგება სხვადასხვა ქიმიური რეაქტივებისა და მოწყობილობისაგან, რომელთა საშუალებით შეიძლება გაკეთდეს ნიადაგის შემადგენლობის 200-მდე ანალიზი. **სურათზე:** ნიადაგთმცოდნეობისა და მიწათმოქმედების ინსტიტუტის უფროსი ლაბორანტი კომკავშირელი გუნარ რინკისი აკომპლექტებს მოძრავ ლაბორატორიას.

ფოტო ე. იასენოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ვენახის გაშენების ეფექტიანი წესი

ერევანი, 23 ნოემბერი. (საკდესი). არტაშატის რაიონის სოფელ მხჩიანის კოლმეურნეობაში საცდელ ნაკვეთზე მიღებულია ყურძნის მოსავალი — 267 ცენტნერი ჰექტარზე, ე. ი. 87 ცენტნერით მეტი, ვიდრე საკონტროლო ნაკვეთზე, სადაც ვაზი გაშენებულია ვერტიკალურ შპალერზე. ასეთი უხვი მოსავალი კოლმეურნეობამ მიიღო ვაზის გაშენების ეფექტიანი წესის მეოხებით, რომელიც სომხეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრის გამგემ ა. ორდოიანმა შეიმუშავა. ეს წესი — ვაზის ჰორიზონტალურ-სიბრტყითი გაფორმება — საშუალებას იძლევა ყოველ ჰექტარზე მოთავსდეს 40-50 პროცენტით მეტი კვირტი, ვიდრე ვაზის გაფორმების ამჟამად არსებული სისტემების დროს, და ქმნის ყველა შრომატევადი სამუშაოს მექანიზაციის შესაძლებლობას. ამ წესის ერთ-ერთი უპირატესობა შპალერულთან შედარებით არის აგრეთვე ის, რომ ვაზის გაზრდის ხარჯები 25 პროცენტით მცირდება.

სომხეთის სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ვაზის გაშენების ახალი წესი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში დაინერგოს დად ფართობებზე.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

საბჭოთა ლიტერატურა ჩინეთში

პეკინი. (საკდესი). საბჭოთა მწერლების ნაწარმოებნი დიდად პოპულარულია ჩინელი ხალხის ფართო მასებში.

გაზეთი „ციუნჯუნიბაო“ იუწყება, რომ ჩრდილო-დასავლეთი ჩინეთის მშრომელებსა და ახალგაზრდობას დიდად აინტერესებთ საბჭოთა ლიტერატურა. საბჭოთა ავტორების ნაწარმოებნი, წერს გაზეთი, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ხალხის მასების და, განსაკუთრებით, ახალგაზრდა თაობის სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

უკანასკნელ წლებში ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთში ფართოდ გავრცელდა საბჭოთა ლიტერატურის შესანიშნავი ნიმუშები — „ოქროს ვარსკვლავის კავალერი“, „მოსკოვიდან დაშორებით“, „ბედნიერება“, „მკა“, „ღღეები და ღამეები“, აგრეთვე რუსი კლასიკოსების — პუშკინის, გოგოლის, ტოლსტოისა და გორკის ნაწარმოებნი. „ახალგაზრდა გვარდია“, „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, „რიგითი ჯარისკაცი ალექსანდრე მატროსოვი“, „მოთხრობა ნამდვილ ადამიანზე“, „მოთხრობა ზოიასა და შურაზე“ ჩინელი ახალგაზრდობის სამაგიდო წიგნები გახდა.

მარტო მიმდინარე წლის ექვსი თვის მანძილზე სიანში გაიყიდა საბჭოთა ავტორების წიგნების 140 ათასზე მეტი ცალი.

საბჭოთა მწერლების შემოქმედებასთან მოსახლეობის გაცნობის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მრავალი ბიბლიოთეკა და სამკითხველო. ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების სიანის საქალაქო განყოფილების სამკითხველოში წიგნების ნახევარი საბჭოთა ავტორების ნაწარმოებნია.

უმაღლესი სასწავლებლების მშენებლობა ჩინეთში

პეკინი. (საკდესი). ეკონომიური მშენებლობის გეგმის შესასრულებლად ჩინეთს ესაჭიროება სპეციალისტთა უდიდესი არმია სახალხო მეურნეობის სულ სხვადასხვა დარგში. არსებულ სასწავლებლებში სპეციალისტების გამოშვების მნიშვნელოვანი გადიდების გარდა, ახალი უმაღლესი სასწავლებლები და ტექნიკუმები იქმნება პეკინში, შანხაიში, ხარბინში, მუკდენში, ხანკოუში, ნანკინში, დალნსა და სხვა ქალაქებში.

როგორც გაზეთი „ბეიინეიბაო“ იუწყება, პეკინში გაიხსნა ნავთობის ინსტიტუტი, რომელიც ჩინეთში პირველი უმაღლესი სასწავლებელია ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების დარგში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოსამზადებლად. ინსტიტუტში სამი ფაკულტეტია: ნავთობის გადამუშავების, ჭაბურღილების გათხრის და ნავთობიანი საბადოების ძიებისა და მექანიკური მოწყობილობის ფაკულტეტები.

ახალი ქალაქი ბულგარეთში

სოფია, 24 ნოემბერი. (საკდესი). ბულგარეთში აღმოსავლეთ როდოპში იზრდება ახალი ქალაქი კირჯალი. 1944 წლის 9 სექტემბრამდე ეს იყო მიყრუებული პატარა დაბა. სახალხო ხელისუფლების დროს როდოპის მთების წიაღში კირჯალის მახლობლად აღმოჩენილ იქნა ფერადი ლითონების სამადნეები. მოკლე ვადაში კირჯალიმ სახე იცვალა. აშენდა და ამშუშავდა ახალი სამრეწველო საწარმოები, გაჩნდა საცხოვრებელი სახლების უბნები, გაფართოვდა და გადაკეთდა ქალაქის საავადმყოფო, გაიხსნა სამშობიარო სახლი, სამბავშვო ბაღები და ბაღები.

მალე ქალაქში აშენდება საბჭოების სახლი, თეატრი, პარტიული სახლი, პიონერთა სასახლე, სტადიონი და მოეწყობა კულტურისა და დასვენების პარკი.

ვაჭრობის განვითარება უნგრეთში

ბუდაპეშტი. (საკდესი). ამ უკანასკნელ ხანს უნგრეთში ფასების შემცირებისა და სხვა ღონისძიებათა მეოხებით მნიშვნელოვნად ამაღლდა მოსახლეობის ცხოვრების დონე. ამას მოწმობს, კერძოდ, საქონლბრუნვის განვითარება. 1953 წლის სექტემბერში გასული წლის სექტემბერთან შედარებით სახელმწიფო საცალო ვაჭრობის საქონლბრუნვა გადიდდა 23,7 პროცენტით, კოოპერაციული საცალო ვაჭრობისა — 23,1 პროცენტით. განსაკუთრებით გაძლიერდა მოთხოვნილება ტანისამოსზე, რადიოაპარატურაზე, ველოსიპედებზე, ავეჯსა და საკერავ მანქანებზე.

საქონელზე მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების უკეთ დაკმაყოფილებისათვის ფართოვდება სავაჭრო ქსელი, დიდდება საქონლის ასორტიმენტი. დედაქალაქსა და დიდ ქალაქებში გაიხსნა სანიმუშო უნივერმაღები და სამრეწველო და სასურსათო საქონლის სპეციალიზებული მაღაზიები.

ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის სხდომა

პრაღა, 24 ნოემბერი. (საკდესი). გაიმართა ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის გაფართოებული სხდომა.

სხდომა გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა ზდენეკ ნეიდლიმ. განვლილ წელს მეცნიერებათა აკადემიის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა აკადემიის პასუხისმგებელმა მდივანმა ფრანტიშეკ შორმამ. მან აღნიშნა აკადემიის დიდი მეცნიერული მუშაობა საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის პრაქტიკულ მუშაობაში დახმარების გაწევის მხრივ. აკადემიამ მჭიდრო კავშირი დაამყარა სხვა ქვეყნების აკადემიებთან და უწინარეს ყოვლისა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან. სხდომაზე მოხსენება „ჰელმინტოლოგიის მნიშვნელობა სახალხო მეურნეობისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის“ წაიკითხა აკადემიკოსმა კ. ი. სკრიაბინმა.

მოეწყო აგრეთვე აკადემიკოსთა და წევრ-კორესპონდენტთა არჩევნები.

ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებად აირჩიეს 5 კაცი, წევრ-კორესპონდენტებად — 32 კაცი.

მეგობართა შეხვედრა

ორთაჭალელ და ტიმონინოელ კოლმეურნეთა მეხსიერებაში მარად დარჩება ერთად გატარებული დღეები. დიდი რუსი ხალხის შვილები ეკვს დღეს დარჩნენ სტუმრად თავიანთ მეგობრებთან — ორთაჭალელ კოლმეურნეებთან. ისინი გულდასმით გაეცნენ მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ყოველ უბანს, მათი წარმატებების ამსახველ დოკუმენტებს, ყველა დარგის შემდგომი განვითარების პერსპექტივებს. დელეგაციის წევრებმა მოუთხრეს ორთაჭალელ კოლმეურნეებს ტიმონინოს კოლმეურნეობის მდიდარ გამოცდილებაზე. სტუმრებმა მრავალი საქმიანი შენიშვნა გააკეთეს, ურჩიეს ორთაჭალელებს მეცხოველეობის ფერმის მთლიანი მექანიზაციის განხორციელება, მებოსტნეობაში და სხვა დარგებში მექანიზაციის ფართოდ დანერგვა, რაც მოსავლიანობის შემდგომი გადიდების აუცილებელი პირობაა.

დიდი რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის მეგობრობის შემდგომი განმტკიცების დემონსტრაციად იქცა ტიმონინოელ და ორთაჭალელ კოლმეურნეთა შეხვედრა, რომელიც 24 ნოემბერს მოეწყო. ელექტროშუქით გაჩირაღდნებულ კლუბში 250-მდე კოლმეურნემ მოიყარა თავი.

კრება გახსნა მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. მიგრიაულმა.

— ტიმონინოში ყოფნის დროს შეძენილი მდიდარი გამოცდილებიდან, — თქვა ამხ. მიგრიაულმა, — ზოგიერთი უკვე გადმოვიღეთ და ვახორციელებთ. ამ ერთ თვეში მეცხოველეობის ფერმის რეკონსტრუქცია მოვახდინეთ. არ გვქონდა წყლის აუზი, ავტომატური სარწყულებლები, ელექტროშუქი და სხვ. ახლა ისინი გვაქვს. პირობას ვაძლევთ ძვირფას სტუმრებს, რომ ნაკისრ ვალდებულებებს პირნათლად შეასრულებთ.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ტიმონინოელთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ამხ. ნ. პუზანჩიკოვმა. იგი მხურვალედ მიესალმა შეკრებილთ.

— ჩვენს შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება, — განაცხადა ამხ. პუზანჩიკოვმა, — უთუოდ დაგვეხმარება, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრ აღმავლობაში.

ამხ. ნ. პუზანჩიკოვმა კოლმეურნეებს მოუთხრო მოწინავე ადამიანთა მუშაობაზე, მათ შორის სოციალისტური შრომის ვგირი პასკოვია ნოვოკოვაზე, რომელმაც წელს ათ თვეში თვითეულ ძროხაზე 4.040 ლიტრი რძე მიიღო. კოლმეურნეობის ეკონომიკა ისე გაძლიერდა, რომ შესაძლებლობა აქვთ მშენებლობებზე დახარჯონ ნახევარი მილიონი მანეთი. მექანიზაციის დანერგვამ კოლმეურნეობას 4.700 შრომადღის ეკონომია მისცა. ბრიგადირმა ვ. ბლოხინმა და სხვებმა კომბოსტოს, კარტოფილის, ბოსტნეულის უხვი მოსავალი მოიყვანეს. შემდეგ დაწვრილებით ილაპარაკა ტორფნეშომპალიან ჭოთნებში ბოსტნეულის ჩითილის გამოყვანის უდიდეს სარგებლიანობაზე.

— მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში, — ამბობს იგი, — კარგად არის განვითარებული ბოსტნეულის მეურნეობა. მისაბაძია ტიპური მექანიზებული დიდი სათბურის მშენებლობა. ამ გამოცდილებას ჩვენც გამოვიყენებთ. მაგრამ მთელ რიგ დარგებში თქვენთან უმთავრესად ხელით შრომაა გამოყენებული. ჩანს, მტს-ი ცუდად გემსახურებათ. ჯერ კიდევ მცირეა შემოსავალი მელორობიდან.

ამხ. პუზანჩიკოვმა იმედი გამოთქვა, რომ მომავალში კიდევ უფრო განმტკიცდება ტიმონინოელ კოლმეურნეთა მეგობრობა ორთაჭალელ კოლმეურნეებთან და ორივე არტელის კოლმეურნეები სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს სასახელოდ გაანადგურებენ.

ამხ. პუზანჩიკოვმა მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ა. მიგრიაულს საზეიმო ვითარებაში ტიმონინოელთა მუდმივ სარეკორდო გადასცა წითელი დროშა, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს: „მეგობრობის ნიშნად თბილისის გარეუბნის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებს მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან“. „გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მოყვანისათვის“.

შემდეგ დელეგაციის წევრმა, ზოოტექნიკოსმა ვალენტინა კირეევამ კოლმეურნეებს გაუზიარა საკვების დაგროვების, მეცხოველეობის აღმავლობის დარგში მუშაობის გამოცდილება და მადლობა გადაუხადა ორთაჭალელებს გულთბილი შეხვედრისათვის.

ძვირფას სტუმრებს მხურვალედ მიესალმა მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მებოსტნეობის ბრიგადირი პ. ეფრემიძე.

დასასრულ შეკრებილთ უჩვენეს კინოჟურნალი, რომელიც გადაღებულ იქნა ქართველ კოლმეურნეთა დელეგაციის ტიმონინოში ყოფნის დროს.

* * *

გუშინ საღამოს ტიმონინოელ კოლმეურნეთა დელეგაცია გაემგზავრა ქ. სუხუმში. ძვირფასი სტუმრები თბილისის ვაგზალზე გულთბილად გააცილეს ორთაჭალელმა კოლმეურნეებმა, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა. თავიანთ მეგობრებს ორთაჭალელმა კოლმეურნეებმა თაიგულები მიართვეს.

ტიმონინოელთა დელეგაცია დღეს დაათვალიერებს ქალაქ სუხუმის ღირსშესანიშნავ ადგილებს და საღამოს გაემგზავრება მოსკოვში.

3. ი. ლენინის ნაწარმოებნი ბულგარულ ენაზე

სოფია. (საკდესი).

უზრუნველვყოთ საანგარიშო-საარჩევნო კრებების მაღალი იდეურ-პოლიტიკური დონე

როცა კრება მოუმზადებელია

— ვისდა ველოდებით? — იკითხეს კომუნისტებმა, როცა პარტიული კრების დაწყების საათი დადგა.

— ვისა და ანტონ ილურიძეს, გუშინ მე თვითონ გავაფრთხილე... უპასუხა პარტიული ორგანიზაციის მდივანმა და ხელმეორედ აფრინა კაცი მის მოსაძებნად.

მცხეთის სატყეო მეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება, რომელიც საღამოს 5 საათისათვის იყო მოწვეული, მხოლოდ 6 საათზე დაიწყო.

ფურცლის ორ გვერდზე ნაჩქარევად დაწერილი საანგარიშო მოხსენება პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა თ. ორთანეზოვმა ხუთ წუთში გადაკითხა და დაჯდა.

უფერულმა, უშინაარსო საანგარიშო მოხსენებამ კრების მონაწილეთა სამართლიანი გაკვირვება გამოიწვია. სატყეო მეურნეობის დირექტორი, პარტიის მცხეთის რაიონული კომიტეტის წევრი გ. კეკელიძე, რომელსაც დავალებული ჰქონდა კრების მომზადება და ჩატარება, შეეცადა მოხსენება შეკითხვებით შეეგსო. მარტო თვითონ ათზე მეტი შეკითხვა მისცა მომხსენებელს.

შეკითხვების შემდეგ კამათი დაიწყო. მაგრამ მოკამათეებმაც მომხსენებელს მიბაძეს. მათ საქმიანი ბევრი არაფერი უთქვამთ.

კრების მსვლელობაში წესრიგი არ იყო. ჯერ პარტიული ორგანიზაციის მდივნის, მისი მოადგილისა და რაიონული კონფერენციის დელეგატის კანდიდატურები დაასახელეს და მხოლოდ შემდეგ წაიკითხეს საარჩევნო ინსტრუქცია. არჩევნების შედეგების გაცნობის შემდეგ კრების თავმჯდომარემ პარტიული კრება დახურულად გამოაცხადა. მაგრამ... ვიღაცას მოაგონდა, რომ საანგარიშო მოხსენების გამო არავითარი ღონისძიება არ დაუსახავთ, და კრება ხელმეორედ გახსნეს. ამის გამო კრებამ ნაუცბათევად შედგენილი, ზერელე ღონისძიება მიიღო.

ასე ჩაიარა საანგარიშო-საარჩევნო კრებამ მცხეთის სატყეო მეურნეობის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში. იგი მოწმობს, რომ პარტიის მცხეთის რაიკომი ოპერატიულად, კონკრეტულად არ ხელმძღვანელობს პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნებს

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით

გაშლილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა საანგარიშო-საარჩევნო კრებამ სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის საკავშირო ინსტიტუტის თბილისის ფილიალის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში. მომხსენებელმა, პარტბიუროს მდივანმა ქ. დიდებულიძემ და კამათში მონაწილე კომუნისტებმა მკაცრად აკმხილეს ნაკლოვანებანი ფილიალისა და პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში, დასახეს მათი აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიული დადგენილებით ფილიალის კოლექტივის წინაშე დიდი ამოცანებია დასახული. ამ ამოცანების განხორციელებაში წამყვანი, მაორგანიზებელი როლი ეკუთვნით ფილიალის პარტიულ ორგანიზაციას, იქ მომუშავე კომუნისტებს. როგორც კრებაზე აღინიშნა, თანამედროვე პირობების შესაბამისად ფილიალის მუშაობის გარდაქმნა არადამაკმაყოფილებელი ტემპით მიმდინარეობს. სერიოზული ნაკლოვანებებია სამეცნიერო მუშაობის დაგეგმვის საქმეში. ამის შედეგია, რომ ხშირად საჭირო ხდება სამეცნიერო მუშაობის გეგმის გადასინჯვა და დასამუშავებელი თემიდან ამა თუ იმ განაკვეთის ამოღება. ეს, რა თქმა უნდა, აფერხებს თემის დროზე და მაღალხარისხოვნად დამუშავებას.

ნაკლებია ზრუნვა მეცნიერი მუშაკებისათვის შესაფერი სამუშაო პირობების შესაქმნელად. ამის შედეგია მეცნიერ მუშაკთა დიდი დენადობა. მეცხოველეობის ელექტროფიკაციისა და მექანიზაციის ლაბორატორია უკანასკნელ 14 თვეში მიატოვა ლაბორატორიის ორმა ხელმძღვანელმა — პროფესორმა ა. კიზირიამ და ინჟინერმა ნ. მესხმა. თითქმის ერთი თვეა, რაც ამ ლაბორატორიას ხელმძღვანელი არა ჰყავს. ამავე პერიოდში მემცენარეობის ელექტროფიკაციის ლაბორატორიიდან წავიდა ორი უფროსი მეცნიერი მუშაკი. მეცნიერ მუშაკებს არ ეწევა დახმარება სადისერტაციო შრომის მომზადებასა და დაცვაში.

ნაკლოვანებანი ფილიალის მუშაობაში გაცილებით ცოტა იქნებოდა, პირველადი პარტიული ორგანიზაცია ღრმად რომ სწვდებოდეს ფილიალის კოლექტივის მთელ სამეცნიერო-კვლევითს საქმიანობას, იჩენდეს მეტ აქტივობას, თაოსნობას და პრინციპულობას მათ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის. პარტიული ბიურო სათანადო ყურადღებას არ აქცევდა ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა პოლიტიკურ სწავლებას, მათი ცოდნის ჰორიზონტის გაფართოებას, არ აწყობდა მათთვის ლექციებსა და თეორიულ კონფერენციებს.

მოკამათეებმა ამხ. არსენაშვილმა, ბუაჩიძემ, საკოვმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ პარტბიუროს მდივანმა თავის საანგარიშო მოხსენებაში დიდი ადგილი დაუთმო დირექციის საქმიანობის კრიტიკას და ნაკლებად ილაპარაკა პარტიული ორგანიზაციის მუშაობაზე. პარტორგანიზაციას მთელი წლის განმავლობაში ერთხელაც არ დაუყენებია დირექციის წინაშე ესა თუ ის საკითხი ფილიალის სამეცნიერო მუშაობის გასაუმჯობესებლად.

კომუნისტმა ამხ. შავიშვილმა გააკრიტიკა პარტიის სტალინის რაიკომი. მან აღნიშნა, რომ რაიკომი ახლოს არ იცნობს ფილიალის მუშაობას და არ უწევს მას კონკრეტულ დახმარებას.

კრებამ აირჩია პარტიული ბიუროს ახალი შემადგენლობა და რაიონული პარტიული კონფერენციის დელეგატები.

მ. აროლშიძე.

სამტრედია. თანდათან დიდდება სამტრედიული კონსერვების გამოშვება, უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი და ქილების გაფორმება. **სურათზე:** საკონსერვო საამქროს მოწინავე ადამიანები ო. წივწივაძე (მარცხნივ) და ლ. გეგია ამოწმებენ საკონსერვო ქილების დახურვის ხარისხს.

ფოტო შ. გოქაძისა.

ჩვენს საწარმოებში

მოწინავე ქარხანა

საქართველოს საშენ მასალათა საწარმოებს შორის სურამის კირის ქარხანას ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. ამ ქარხნის კოლექტივმა კირის გამოშვების წლიური დავალება 16 ნოემბრისათვის 118,8 პროცენტით შეასრულა, ტონა კირის თვითღირებულება 7,5 პროცენტით შეამცირა და მოგვცა 80.000 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

ქარხნის კოლექტივმა იკისრა წლის ბოლომდე საგრძნობი რაოდენობით გამოუშვას დამატებითი პროდუქცია.

ორი თვით ადრე

ქალაქ სტალინირის სამრეწველო კომბინატის საწარმოთა კოლექტივებმა წელს მაღალნაყოფიერად იმუშავეს და წლიური დავალებები ვადაზე ორი თვით ადრე — 1 ნოემბრისათვის გაანაღდეს.

გადაჭარბებით შეასრულეს წლიური დავალებანი ფეხსაცმლის, ავეჯის, სამკერვალო სახელოსნოებისა და ლიმონათის ქარხნის კოლექტივებმა. სამკერვალო სახელოსნო წარმატებით ასრულებს მშრომელთა ინდივიდუალურ დაკვეთებს.

მ. კაკიტელაშვილი.

შოკრასკენელ მეოთხძლმავლეთა მაღალი მაჩვენებლები

შორაპნის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი წელს განსაკუთრებული წარმატებით მუშაობს და მტკიცედ ინარჩუნებს მოწინავე ადგილს ამიერკავკასიის დეპოებს შორის. სოუკეთესო მაჩვენებლები აქვს მემანქანეების ვ. გლუნჩაძისა და ი. თურმანიძის საორთქლმავლო გუნდს. წელს ამ გუნდმა დაზოგა 1.648 კილოგრამი საწვავი და 1.103 მანეთი, რაც ორთქლმავლის რემონტზე უნდა დახარჯულიყო. მემანქანეების გ. ჭანკვეტაძისა და გ. ლილუაშვილის საორთქლმავლო გუნდმა დაზოგა 2.734 კილოგრამი საწვავი და 405 მანეთი თანხა.

საერთოდ დეპოს კოლექტივმა წელს ათი თვის განმავლობაში გასწია 402 ტონა საწვავის ეკონომია და მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ განხორციელების შედეგად მოგვცა 983.000 მანეთი დაგროვება.

ე. ეკალაძე.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
საერთოსაკავშირო დამზადებათა სამინისტროს შექმნის შესახებ.

შეიქმნას საერთოსაკავშირო დამზადებათა სამინისტრო სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს იმ ორგანიზაციათა და საწარმოთა ბაზაზე, რომლებიც დაკავშირებული არიან სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებასა და გადამუშავებასთან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1953 წლის 21 ნოემბერი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
სსრ კავშირის დამზადებათა მინისტრად ამხ. ლ. რ. კორნიეიცის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. ლეონიდე რომანის-ძე **კორნიეიცი** სსრ კავშირის დამზადებათა მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1953 წლის 21 ნოემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა **დაადგინა:**

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, საერთოსაკავშირო დამზადებათა სამინისტროს შექმნასთან დაკავშირებით, ამიერიდან დაერქვას — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

მეტი ყურადღება ჯიშიან პირუტყვს

ბორჯომის სარაიონთაშორისო კანტორა, რომელიც ემსახურება რესპუბლიკის 44 რაიონის კოლმეურნეობას, ჯიშიან პირუტყვს ამზადებს ჩვენი ქვეყნის მეცხოველეობის მოწინავე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

კანტორამ პირუტყვის თითქმის ყველა სახის მიხედვით უკვე გადამეტებით შეასრულა ჯიშიანი პირუტყვის დამზადება-გასაღების წლიური გეგმა. წელს კოლმეურნეობებს გადაეცათ ველის წითელი და ფაცის ჯიშის 208 ბუღა-მწარმოებელი, აგრეთვე 963 სული მსხვილი თეთრი ჯიშის ღორი.

დიდი გადამეტებით შესრულდა ჯიშიანი ცხვრებისა და სატრანსპორტო ცხენების დამზადების გეგმა. ასობით სული კავკასიური, პრეკოსისა და ქართული ჯიშის ცხვარი შეიძინეს კანტორის მეშვეობით დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის, კაჭრეთისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებმა. 304 სული ქართული ჯიშის ცხვარი მიიღეს წალენჯიხის რაიონის კოლმეურნეობებმა, რომლებიც ახლა იწყებენ მის მოშენებას. წლის ბოლომდე ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებს გეგმის ზევით გადაეცემათ 150 ბუღა-მწარმოებელი, 400 სულამდე მსხვილი თეთრი ჯიშის ღორი, 60 სული მოზარდი ცხენი და ა. შ.

უფრო მაღალი იქნებოდა მეურნეობის მუშაობის შედეგები, რომ კანტორას შესაფერ დახმარებას უწევდნენ სათანადო ორგანიზაციები. კანტორა ვალდებულია ჯიშიანი პირუტყვი ადგილზე ჩააბაროს შემსყიდველ კოლმეურნეობებს, მაგრამ სინამდვილეში ასე როდი ხდება. კანტორას მხოლოდ ერთი ავტომანქანა ჰყავს და ისიც სახანძროდ დგას საბურველების უქონლობის გამო, ხოლო კოლმეურნეობებს თავიანთი ტრანსპორტით უხდებათ პირუტყვის გადაყვანა.

დიდია კახტორისადმი კოლმეურნეობათა დებიტორული დავალიანება, მაგრამ ამ მდგომარეობას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები. ამიტომ ბევრი დავალიანებული კოლმეურნეობა მოკლებულია საშუალებას მიიღოს მისთვის გამოყოფილი ჯიშიანი პირუტყვი. მაგალითად, ასპინძის რაიონის კოლმეურნეობებმა ამ მიზეზით ვერ მიიღეს მათთვის გამოყოფილი ქართული ჯიშის 60 სული დედაცხვარი, ბორჯომის რაიონის კოლმეურნეობებზე ირიცხება 48 ათასი მანეთი დებიტორული დავალიანება, ახალციხის — 27, ცხაკაიას — 24, ზუგდიდის — 26, ვანის — 21 ათასი მანეთი. სულ კი კოლმეურნეობათა საერთო დებიტორული დავალიანება 300 ათას მანეთს შეადგენს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კანტორის მიერ დაკონტრაქტებული პირუტყვის მოვლა-პატრონობას. იმის ნაცვლად, რომ მათ განსაკუთრებულად მოუაროს, საერთო ნახირში უშვებენ. ამ მიზეზით ბოგდანოვკის რაიონის ხოჯაბეკის კოლმეურნეობამ 75 საბუღის ნაცვლად კანტორას ძლივს ჩააბარა 15 სული პირუტყვი. ასეთივე მდგომარეობაა ბორჯომის რაიონის ციხისჯვრისა და სხვა კოლმეურნეობებში. სარაიონთაშორისო კანტორას რატომღაც გეგმით გათვალისწინებული არა აქვს ჯიშიანი დეკეულების (უშობლების) დამზადება.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო ქმედითად უნდა დაეხმაროს კანტორას აღნიშნულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებაში.

შ. კოპალიანი.

კომუნისტების მაღალი აქტივობა

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კამვოლური საამქროს საჩეჩი განყოფილების პარტიულმა ჯგუფმა საანგარიშო პერიოდში ნაყოფიერი მუშაობა გასწია. ეს მცირე, მაგრამ მტკიცედ შემჭიდროებული კოლექტივია. მასში 7 კომუნისტია. მათი უმრავლესობა შრომაში ავანგარდულ როლს გვიჩვენებს, თავდადებით იბრძვის ჩვენს ქვეყანაში სახალხო მოხმარების საგნების სიუხვის შესაქმნელად.

პარტიული ჯგუფი დიდ ყურადღებას აქცევს განყოფილებაში საგიტაციო-მასობრივი მუშაობის ფართოდ გაშლას. მოწინავე აგიტატორად ითვლება ოსტატი შ. გოგორიშვილი. იგი განყოფილების მუშებთან სისტემატურად აწყობს შინაარსიან, მიმზიდველ საგიტაციო საუბრებს, განუმარტავს მათ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს.

ამ დღეებში პარტიულ ჯგუფში საანგარიშო-საარჩევნო კრება გაიმართა. პარტჯგუფორგმა დ. ნოზაძემ თავის მოხსენებაში განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება მასებში პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების აუცილებლობაზე. პარტიული ჯგუფი თავის უპირველეს ამოცანად თვლის კომუნისტების იდეურ-თეორიული დონის ამაღლებას. ყველა კომუნისტი ჩაბმულია პარტიული განათლების ქსელში.

პარტიული ჯგუფი ოპერატიულად ხელმძღვანელობს სოციალისტურ შეჯიბრებას განყოფილების მუშათა შორის, ყოველმხრივ უწყობს ხელს რაციონალიზატორულ წინადადებათა და შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვას წარმოებაში. კომუნისტ ა. დაუშვილის 12 რაციონალიზატორული წინადადებიდან წარმოებაში დანერგილია 5, რის შედეგადაც ფაბრიკას 20.000 მანეთის ეკონომია აქვს.

კომუნისტები პირნათლად ეკიდებიან პარტიულ დავალებათა შესრულებას. პარტიული ჯგუფი ისწრაფვის პარტიულ დავალებათა მიცემით კომუნისტები აქტიურად ჩაებას პარტიულ ცხოვრებაში და ამით ჯგუფის საქმიანობა უფრო სისხლსავსე და შინაარსიანი გახადოს.

კამათში გამოსულმა კომუნისტებმა შ. გოგორიშვილმა, ა. გურგენიძემ, ფ. გოგინაშვილმა ილაპარაკეს ნაკლოვანებებზე. კერძოდ აღინიშნა, რომ საჭიროა უფრო ხშირად ეწყობოდეს პარტიული ჯგუფის კრებები. ჯგუფს მეტი დახმარება უნდა გაუწიონ საამქროს პარტორგანიზაციამ და ფაბრიკის პარტბიურომ.

პარტიული ჯგუფის კრებამ პარტჯგუფორგად ავლავ დ. ნოზაძე აირჩია.

ს. არღუნელი.

პარტიის რაიკომი და ბრძოლა მევენახეობის აღმავლობისათვის

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს მზრუნველობას იჩენენ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. ამის მკაფიო დადასტურებაა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და ამ გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებანი.

გურჯაანის რაიონში მევენახეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. იგი კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ წლების მანძილზე ჩვენს რაიონში ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა სოფლის მეურნეობის ამ დარგის განვითარებას, რის გამო საქვეყნოდ განთქმული ქართული ჯიშის ვაზები — რქაწითელი და საფერავი — ძალიან მცირე მოსავალს იძლეოდნენ. ვენახებს აკლდა მზრუნველობა და მოვლა-პატრონობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ სოციალისტური სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად კონკრეტულად განსაზღვრა მევენახეობის განვითარებისა და ყურძნის მოსავლის გადიდების დარგში პარტიული, საბჭოთა და ბაზოთველო-სამეურნეო ორგანოების ამოცანები. პარტიამ საბრძოლო ამოცანად დასახა მეხუთე ხუთწლედის ბოლოსათვის გადიდდეს ვენახების ფართობი 40 პროცენტით, ყურძნის მოსავალი — 55-60 პროცენტით. აქედან გასაგებია, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ჩვენს რაიონს, როგორც რესპუბლიკაში მევენახეობის ერთ-ერთ ძირითად რაიონს.

სოფლის მეურნეობის აღმავლობის გადაუდებელი ამოცანების წარმატებით განხორციელება სასოფლო პარტიული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართო მსჯელობას საგნად გახადეს მევენახეობის განვითარების დარგში არსებულ ნაკლოვანებათა უსწრაფესად აღმოფხვრის საკითხი. ნაკლოვანებანი ძირითადად გამოიხატებოდა მევენახეობაში მექანიზაციის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის მნიშვნელობის შეუფასებლობით, მევენახე კოლმეურნეთა შრომის მოუწესრიგებლობით. ამის შედეგად სისტემატურად არ სრულდებოდა ყურძნის მოსავლის გეგმა არა მარტო საერთოდ რაიონის მიხედვით, არამედ მევენახეობის ისეთ მსხვილ კოლმეურნეობებშიც კი, როგორიც არიან კარდანახის, გურჯაანის, ვაზისუბნის, ველისციხის და სხვა კოლმეურნეობები.

უკანასკნელ ხანებში ჩვენს რაიონში ძირფესვიანად შეიცვალა მევენახეობა-სადმი დამოკიდებულება. პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთი მუშაობა იქითკენ წარმართეს, რომ რაიონის ყველა მშრომელში გაეძლიერებინათ ვენახისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა, რათა მევენახე კოლმეურნეთა ძალა და უნარი გამოყენებული ყოფილიყო მევენახეობის აღმავლობისა და ყურძნის უხვი მოსავლის მიღების უზრუნველსაყოფად. რაიონის მრავალი აგიტატორი სისტემატურად აწყობს საუბრებს მევენახეობის ბრიგადებში მათი გადაუდებელი ამოცანების შესახებ. ხშირად იმართება ლექციები მევენახეობის შესახებ არა მარტო ადგილობრივი სპეციალისტების, არამედ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის მეცნიერ მუშაკთა ძალებითაც.

პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ სოციალისტურ შეჯიბრებას. მათი დახმარებით ყურძნის მაღალი მოსავლისათვის შეჯიბრებაში ჩაება რაონის ყველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, მევენახეობის ყველა ბრიგადა და რგოლი. ამავე მიზნით გურჯაანის რაიონი შეჯიბრებაში ჩაება ზესტაფონელ მევენახეებთან და ვალდებულება იკისრა ვენახების თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 65 ცენტნერი ყურძენი, რაც გადაჭარბებით იქნა შესრულებული.

საკოლმეურნეო ვენახებში აგროწესებით დადგენილ ვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულდა ყველა სახის სამუშაო, მაღალ აგროტექნიკურ დონეზე მოეწყო ნიადაგის დამუშავება, მწვანე ოპერაციები, ვაზის მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა, განხორციელდა მეჩხერიანობის ლიკვიდაციის ღონისძიებანი და სხვ. ვაზის გასხვლა მეცნიერა მუშაკების რჩევის მიხედვით ჩავატარეთ. საკმაო რაოდენობით შევიტანეთ ვენახებში მინერალური და ორგანული სასუქები, ხოლო მტს-ებში არსებული მექანიზმები მთლიანად გამოვიყენეთ ნიადაგის დამუშავებისათვის, რითაც ყოველმხრივ მოვამზადეთ პირობები იმისათვის, რომ ვაზს რაც შეიძლება მეტი ნაყოფი მოეცა.

გურჯაანელმა მევენახეებმა მთელი წლის დაძაბული შრომა წარმატებით დააგვირგვინეს და თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 70,7 ცენტნერი ყურძენი მოკრიფეს, რაც გეგმით გათვალისწინებულს 19,7 ცენტნერით, ხოლო ნაკისრ ვალდებულებას 5,7 ცენტნერით აღემატება. წელს გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების დავალებაც. გეგმის გადამეტებით მიმღებ პუნქტებს ჩაბარდა 1.173 ტონა საუკეთესო ყურძენი.

სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ, რომლის მოსავლიანი ვენახების ფართობი 86 ჰექტარს შეადგენს, საშუალოდ ჰექტარზე 121 ცენტნერი ყურძენი მიიღო. კიდევ უფრო მაღალი მოსავალი მიიღეს ცალკეულმა ბრიგადებმა და რგოლებმა. მაგალითად, ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი გ. კუტიბაშვილი ხელმძღვანელობს, მისთვის მოსავლელად მიჩენილი 22 ჰექტარი ურწყავი ვენახიდან ჰექტარზე საშუალოდ 135 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა. ჰექტარზე 122-130 ცენტნერი ყურძენი მაიღეს ს. მოვლილიშვილის, ი. ვარამაშვილის და სხვათა ბრიგადებმა.

სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძმა“ 127 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 98,1 ცენტნერი ყურძენი მიიღო, ხოლო კოლმეურნეობის ცალკეულმა ბრიგადებმა და რგოლებმა — 140-155 ცენტნერი. ამ კოლმეურნეობის მევენახეობის რგოლმა, რომელსაც სათავეში უდგას მოწინავე კოლმეურნე მარგო თაზიაშვილი, მისთვის მოსავლელად მიჩენილი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 155 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა.

მუკუზნის საბჭოთა მეურნეობამ, რომელიც ზესტაფონის რაიონის არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას ეჯიბრება, ვენახის მსხმოიარე ფართობის თვითეულ ჰექტარზე 71 ცენტნერი ყურძნის მოყვანა უზრუნველყო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 46 ცენტნერისა.

დასახელებული კოლმეურნეობები, ბრიგადები და რგოლები გამონაკლისს როდი წარმოადგენენ. რაიონის 17 კოლმეურნეობიდან, რომლებიც მევენახეობას მისდევენ, 15-მა ერთნახევარორმაგი რაოდენობათ შეასრულა ყურძნის მიღების დაწესებული გეგმა. მევენახეობის 491 რგოლიდან ყურძნის მოყვანის დაწესებული გეგმა გადაჭარბებით შეასრულა 417 რგოლმა, ხოლო მათგან 71 რგოლმა ჰექტარზე საშუალოდ 100 ცენტნერზე მეტი ყურძენი მოიყვანა.

ყურძნის ბარაქიანმა მოსავალმა ეკონომიურად გააძლიერა როგორც კოლმეურნეობები, ისე კოლმეურნეები. მაგალითად, სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძმა“ საკოლმეურნეო მარნებში დაწურა 475 ტონა ყურძენი, შრომადღეებზე ავანსად გასცა 100 ტონა და სახელმწიფოს ჩაბარა ასობით ტონა ყურძენი, რაზედაც 2.800 ათასი მანეთი ფულადი შემოსავალი მიიღო. სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარებისათვის 1,5-დან 2 მილიონამდე ფულადი შემოსავალი მიიღეს აგრეთვე სოფლების ვაზისუბნის, შაშიანის, ჩუმლაყის, გურჯაანის და სხვა კოლმეურნეობებმა.

გურჯაანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ, მას შემდეგ, რაც გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების დავალება, თვითეულ შრომადღეზე ავანსად 3 კილოგრამი ყურძენი გასცა. კოლმეურნე ს. ქოროღლიშვილის ოჯახმა ავანსად მიიღო 1.500 კილოგრამი ყურძენი, ხოლო გ. უტიაშვილის ოჯახმა — 1.600 კილოგრამი. მათ ეს ყურძენი მთლიანად საელმწიფოს ჩააბარეს და მარტო ავანსად მიღებული ყურძნიდან ათასობით მანეთი ფულადი შემოსავალი მიიღეს. ერთიდან ორნახევარ კილოგრამამდე ყურძენი გასცეს ავანსად აგრეთვე შრომის, შაშიანის, ვაზისუბნის, მუკუზნის, ველისციხის, ჩუმლაყის და სხვა კოლმეურნეობებმა. მევენახე კოლმეურნეებს ყურძნის მოსავლის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის თითქმის ყველა კოლმეურნეობაში ტონობით ყურძენი ერგებათ დამატებითი ანაზღაურების ანგარიშში.

წლევანდელმა პრაქტიკამ ღრმად დაარწმუნა რაიონის ყველა მევენახე, რომ ჩვენს ვენახებს საკმაოდ მაღალი მოსავლის მოცემა შეუძლიათ, თუ მათ ჯეროვანი მოვლა-პატრონობა ექნებათ, თუ რთველის დამთავრებისთანავე დაიწყება უხვი მოსავლისათვის ბრძოლა და ზუსტად, მაღალ აგროტექნიკურ დონეზე განხორციელდება ყველა სამუშაო. სწორედ ამ დამოცდილების გათვალისწინებით გაჩაღდა ბრძოლა ამჟამად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მომავალ წელს ყურძნის უფრო მაღალი მოსავლის მისაღებად.

რთველი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, რომ სოფელ ვაზისუბნის, შაშიანის, ქალაურის, ველისციხის, ჩუმლაყის და გურჯაანის კოლმეურნეობების, მუკუზნის და კარდანახის საბჭოთა მეურნეობების პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა განიხილეს ვენახებში საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოთა დაწყების საკითხი და დასახეს პრაქტიკული ღონისძიებანი მუშაობის გასაშლელად. ამასთან დაკავშირებით მევენახეობის ბრიგადებში სისტემატურად ეწყობა სააგიტაციო საუბრები იმ დიდი ამოცანების შესახებ, რომლებიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა დასახა ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სწრაფი ტემპით გააჩაღეს ვენახების საშემოდგომო ხვნა, ვაზის ძირების გამობარვა და გამოთოხნა საკოლმეურნეო ვენახების 2.020 ჰექტარი ფართობიდან საშემოდგომო ხვნა უკვე ჩატარებულია 500 ჰექტარზე, 100 ჰექტარზე მეტი მოხნულია აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებში. ვენახების საშემოდგომო ხვნაში გამოყენებულია მტსების მთელი ძალები. ვენახების ხვნაზე ყოველდღიურად მუშაობს 14 ტრაქტორი. ტრაქტორისტები ვ. მინდიაშვილი, ს. გოგოლაშვილი, ნ. მამისმედაშვილი, დ. ლუაშვილი და სხვები დღიურ ნორმებს 140-150 პროცენტით ასრულებენ.

ვენახების საშემოდგომო ხვნა, ვაზის ძირების გამობარვა და გამოთოხნა განსაკუთრებით წარმატებით მიმდინარეობს სოფლების ჩუმლაყის, გურჯაანის, ველისციხის, ვაზისუბნის, შაშიანის და კარდანახის კოლმეურნეობებში. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგ კოლმეურნეობაში (ბაკურციხე, კოლაგი), სწორედ იქ, სადაც წელს ყურძნის დაბალი მოსავალი მოიყვანეს, აშკარად იგრძნობა აუჩქარებლობა და ვენახების საშემოდგომო სამუშაოების ჩამორჩენა.

ამ დღეებში პარტიის რაიკომმა მოაწყო კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების დირექტორების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, მევენახეობის ბრიგადების ხელმძღვანელებისა და მევენახე სპეციალისტების რაიონული თათბირი, რომელიც მიეძღვნა ვენახებში საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოების დროზე და მაღალხარისხოვნად ჩატარების საკითხის განხილვას. თათბირმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ამ სამუშაოთა წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესასრულებლად დიდი ღონისძიებანი დასახა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა. გურჯაანის რაიონის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, რაიონის კომუნისტები და ყველა მშრომელი მთელ თავიანთ ძალებს დარაზმავენ იმისათვის, რომ მძლავრად წასწიონ წინ არა მარტო მევენახეობა, არამედ სოფლის მეურნეობის ყველა დარგი.

ა. დავითაშვილი,
საქართველოს კ. პ. გურჯაანის რაიკომის მდივანი.

საყურადღებო „წვრილმანები“

ავგედითი მშენებლობა

გორის შპალსაყიდენთი ქარხნის კოლექტივის საჭიროებისათვის 1950 წელს ამიერკავკასიის რკინიგზის სამშენებლო ორგანიზაცია „დორსტროი“ შეუდგა აბანოს აგებას. ავგედითი გამოდგა ეს მშენებლობა, მის დამთავრებას არაფერი ეშველა.

1952 წლის ნოემბერში გზის ხელმძღვანელობამ ბრძანება გასცა ამ მშენებლობის სასწრაფოდ დამთავრების შესახებ. არაფერი გამოვიდა.

1953 წელს ხელახლა დადგა საკითხი, რათა აბანო აემუშავებინათ, მშენებლობა მოკლე დროში დაემთავრებინათ. არც ამჯერად გამოვიდა რამე: მშენებლობა დღესაც, 1953 წლის მიწურულში, დაუმთავრებელია.

შპალსაყიდენთი ქარხნის მუშები ეკითხებიან „დორსტროის“ ხელმძღვანელებს:

— ფიქრობთ თუ არა, ამხანაგებო, ამ აბანოს მშენებლობის დამთავრებას?

კ. ქიტიაშვილი,

გორის შპალსაყიდენთი ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანი.

ჭიათურაში საჭიროა წისქვილის მოწყობა

ჭიათურის მშრომელები საყვედურს გამოთქვამენ იმის გამო, რომ მთელ ქალაქში ერთადერთი პატარა წისქვილია და ისიც საკმაოდ დაშორებულ უბანში, სადაც წასვლა და საფქვავის წაღება მეტად გაძნელებულია. ეს წისქვილიც ყოველთვის როდი მუშაობს სრული სიმძლავრით, განსაკუთრებით ზაფხულისა და ზამთრის წყალსიმცირის პერიოდებში.

ჭიათურის მოსახლეობა მოითხოვს, რომ ჭიათურის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ ქალაქში მოაწყოს ერთი ელექტროწისქვილი, რაც საკმაო დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

გ. ძინძიბაძე.

საჭიროა დილით დამატებითი ვაგონები

ვაკისაკენ დილით ტრამვაით წასვლა ერთობ ძნელია. საკოლმეურნეო მოედნიდან ამ მიმართულებით მხოლოდ მეხუთე მარშრუტის ტრამვაის მატარებლები დადიან. სტუდენტობა და მოსწავლე ახალგაზრდობა კი ისეთი რაოდენობით იყრის თავს, რომ ტრამვაის არსებული მატარებლები მათ ვერ აუდიან და ამის შედეგად ხშირად უწესრიგობაა.

ამ გარემოებას ტრამვაი-ტროლეიბუსის მეურნეობის ხელმძღვანელებმა ანგარიში უნდა გაუწიონ, დილის საათებში ამ მიმართულებით დამატებითი ტრამვაის მატარებლები გაუშვან.

შ. ჟორჟოლაძე, ვ. ძოძუაშვილი, ვ. ჩხიკვიშვილი.

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოფენა



ხაქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოფენა. გამოფენაზე გამოტანილია საქართველოს მუზეუმში დაცული ძველი ქართული წარწერები ქვაზე, რომლებიც ნაპოვნია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მუზეუმის და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების მიერ მოწყობილი ექსპედიციებისა და სამეცნიერო მივლინებების დროს.

ძეგლები წარმოადგენს როგორც საალმშენებლო, ისე იერიდიული ხასიათის წარწერებს; ისინი ეკუთვნის V საუკუნიდან XIX საუკუნემდე პერიოდს და შესრულებულია ასომთავრული და მხედრული დაწერილობით.

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები წარმოადგენენ საინტერესო მასალას საქართველოს წარსულის შესწავლისათვის.

გამოფენაზე წარმოდგენილია ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები, როგორიც არის ბოლნისის რაიონის საალმშენებლო წარწერა, რომელიც ეკუთვნის 493-494 წლებს და ჯერჯერობით ქართული დაწერილობის უძველეს დათარიღებულ ნიმუშს წარმოადგენს, წყისისა (ადიგენის რაიონი) — რომელიც ეკუთვნის 616-619 წლებს, მცხეთის ჯვრისა — VII საუკუნეს და სხვ. იერიდიული ხასიათის საყურადღებო ძეგლებს წარმოადგენენ 1207-1212 წლების თამარ მეფის და მისი ძის ლაშა-გიორგის ათსტრიქონიანი წარწერა წალკის რაიონიდან და თამარ მეფის შვილის რუსუდანის XIII საუკუნის წარწერა, ჩამოტანილი მანგლისის რაიონიდან. მხედრული წარწერებიდან აღსანიშნავია XVIII საუკუნის ძეგლები ლენინგორისა და დუშეთის რაიონებიდან. გამოფენაზე ნაჩვენებია აგრეთვე VII საუკუნის ქანდაკებები.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა დასაბეჭდად მოამზადა ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, რომელიც შეიცავს მუზეუმში დაცულ ქართულ წარწერებს. კატალოგში შეტანილია ძეგლის აღწერა, წარწერის წაკითხვა, პარალელები ადრეულ გამოცემებთან და ძეგლის შესახებ არსებული ლიტერატურა.

სურათზე: გამოფენის ერთ-ერთი კუთხე.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

ი. ზაკის კონცერტები

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში გაიმართა შემსრულებელთა საკავშირო და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორის ი. ზაკის ორი კამერული და ორი სიმფონიური კონცერტი.

ი. ზაკი ეკუთვნის საბჭოთა პიანისტების საუკეთესო თაობას. მას განსაკუთრებით იტაცებს ისეთი დიდი ნაწარმოებები, როგორიც არის რახმანინოვის პირველი კონცერტი, ბრამსის პირველი კონცერტი, ბეთჰოვენის, შოპენის, პროკოფიევის სონატები. ტექნიკურად ამ ძნელ ნაწარმოებებს ნიჭიერი პიანისტი ასრულებს მეტად მსუბუქად, ამასთან მისი დაკვრა საინტერესო და ორიგინალურია, რაც მოწმობს დიდ მხატვრულ გემოვნებას.

დიდი გრძნობიერებით შეასრულა დამკვრელმა აგრეთვე რახმანინოვის „ვოკალიზი“, რომელიც დაიწერა მომღერალ ა. ნეკრასოვასათვის, პროლუდები და სხვა საფორტეპიანო მანიატიურები.

კარგად მიჰყავდა ორკესტრი დირიჟორ დ. გოკიელს. მას სწორად ესმის პიანისტის მხატვრული ჩანაფიქრი, და ორკესტრი მისი ხელმძღვანელობით საუკეთესოდ ასრულებს აკომპანემენტს და თავისი ეფერადობით არ ფარავს პიანისტის დაკვრას. გატაცებით მიჰყავს დ. გოკიელს ორკესტრი დვორაკის № 5 სიმფონიაში და „ყიჩაყოთა ცეკვებში“ ბოროდინის ოპერა „თავად იგორიდან“.

160 ფილმი სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე

სოფლის მეურნეობის მოწინავე მეცნიერების გამოცდილების პროპაგანდის მიზნით სოფლად კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში მომდინარეობს სასწავლო მეცნიერულ-პოპულარული კინოფილმების ჩვენება. სოფლისათვის შერჩეულია ისეთი კინოფილმები, როგორიც არის „მეცხოველეობის ფერმების მექანიზაცია და ელექტროფიკაცია“, „დასილოსება“, „ადრეული ბოსტნეული“, „გაუფრთხილდით მოსავალს“, სულ 160 სახელწოდების ფილმი.

ოქტომბერსა და ნოემბერში ბოლნისის რაიონის კოლმეურნეებს აჩვენეს სურათები „სოფლის მეურნეობის ახალი ამბები“, „ცნობილი მეკარტოფილეები“ და სხვ. აქ უკვე გაიმართა 19 სეანსი, რომლებსაც 3 ათასზე მეტი კაცი დაესწრო.

„გლავკინოპროკატის“ ახალქალაქის რაიონულმა განყოფილებამ კოლმეურნეებს 64 ადგილას უკვე აჩვენა მოკლემეტრაჟიანი ფილმები — „თესლი და მისი ზრდა“, „მაღალი წველადობისათვის“, „კოლმეურნეობა „განთიადი“, და სხვ., რომლებსაც 10 ათასი კაცი დაესწრო. სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე კინოფილმების მასობრივი ჩვენება მოეწყო ხაშურისა და ჩოხატაურის რაიონების კოლმეურნეობებში.

ახალი წიგნები

ნ. კრუპსკაია — „აღზრდისა და სწავლების შესახებ“, რჩეული პედაგოგიური ნაწარმოებნი, მთარგმნელი ს. გრიგოლია, პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 1953 წელი, ტირაჟი 3.000, გვ. 375, ფასი 16 მან. 20 კაპ.

თხზულებანი დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით: ნაშრომები, რომლებიც დაწერილია დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე (1899-1917 წლები), ნაწარმოებნი, რომლებიც დაწერილია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ „დაწყებითი და საშუალო სკოლის შესახებ“ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 5 სექტემბრის დადგენილებამდე, და ნაწარმოებნი, რომლებიც დაწერილია სკოლის შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 5 სექტემბრის დადგენილების შემდეგ.

ა. ადამია — „უბის წიგნიდან“, ლექსები, საბლიტგამი, 1953 წელი, თბილისი, ტირაჟი 7.000, გვ. 160, ფასი 4 მან.

წიგნში შეტანილია პოეტის მიერ უკანასკნელ წლებში დაწერილი ლექსები, რომელთა ძირითადი თემაა სოციალისტური თანამედროვეობა, საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომა. ნაწარმოებები დალაგებულია განყოფილებად — „ბელადისადმი“, „ბარათები სომხეთში“, „ომისდროინდელი რვეული“, „უბის წიგნიდან“ და „ბალადები“.

კ. გოგიაშვილი — „საბავშვო მოთხრობები“, საბლიტგამი, თბილისი, 1953 წელი, ტირაჟი 5.000, გვ. 134, ფასი 3 მან. და 10 კაპ.

წიგნში დაბეჭდილი თითქმის ყველა მოთხრობა დაწერილია თანამედროვეობის თემაზე და ასახავს ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის საქმიანობას სკოლაში, პიონერთა ბანაკსა და ოჯახში.

ვაჭრობის მუშაკთა სწავლება

ტყიბული. (საკ. კორ.). ვაჭრობის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი საწარმოო დახელოვნების მიზნით აქ შეიქმნა გადასამზადებელი კურსები. საწარმოო კვალიფიკაციას იმაღლებენ დახლის მუშაკები, მზარეულები, მებუფეტეები და სხვ., სულ 115 კაცი.

უკვე წაკითხულია რამდენიმე ლექცია საქონელბრუნვის, საქონელცოდნეობისა და კულინარიის დარგებში.

მუშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიაზე

ვენა, 24 ნოემბერი. (საკდესი). 24 ნოემბრის დილის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა სრულიად ჩინეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს წევრმა მაო დუნმა.

აღნიშნა რა, რომ მშვიდობისათვის ბრძოლაში ათეულ მილიონობით მშრომელთა აქტიური მონაწილეობის მეოხებით საერთაშორისო ვითარება ნაკლებად დაძაბული გახდა პირველ რიგში იმის შედეგად, რომ ხელმოწერილ იქნა დაზავება კორეაში, მაო დუნმა თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა თუმცა იძულებული გახდა დათანხმებულიყო დაზავებაზე, მაგრამ ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რათა ეს დაზავება მტკიცე არ იყოს. კორეაში დაზავების დადებისთანავე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ლი სინ მანის ხროვასთან დადეს ეგრეთწოდებული „ხელშეკრულება უშიშრობის ურთიერთ უზრუნველყოფის შესახებ“. ამასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უფლება მიიღეს დიდი ხნის მანძილზე იყოლიონ თავიანთი ჯარები სამხრეთ კორეაში.

კორეაში დაზავების განხორციელებამ, თქვა მაო დუნმა, ხელსაყრელი პირობები შექმნა საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის. ამ მომენტში მშვიდობისმოყვარე ხალხებმა უნდა მოსთხოვონ დიდ სახელმწიფოებს, რომ მათ განიხილონ შეიარაღების საყოველთაო შემცირების საკითხები, მათ შორის ატომური და წყალბადის ბომბების აკრძალვის და ბაქტერიოლოგიური იარაღის, აგრეთვე მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის გამოყენების აკრძალვის, სხვის ტერიტორიებზე შექმნილი სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის და სხვის ტერიტორიებზე მყოფი ჯარების ევაკუაციის საკითხები, ჯარებისა, რომლებიც ხელუყოფენ ამ ქვეყნების სუვერენიტეტს. ამ მომენტში 5 დიდი სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის, სსრ კავშირისა და ჩინეთის თათბირის მოწვევა რაციონალური და მიზანშეწონილი აქტია.

თავისი სიტყვის დასასრულს მაო დუნმა რწმენა გამოთქვა, რომ თუ ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ხალხები მჭიდროდ დაირაზმებიან და მთელი ძალღონით იბრძოლებენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე მოწვეულ იქნას ხუთი სახელმწიფოს თათბირი, ეს ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

გმირი კორეელი ხალხის წარმომადგენელმა ხან სერ იამ აღნიშნა, რომ კორეელი ხალხის გამარჯვება მშვიდობისა და დემოკრატიის მთელი ბანაკის დიდი გამარჯვებაა. კორეელი ხალხი, აღნიშნა მან, ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული წრეებისა და მოღალატე ლი სინ მანის ხროვის ხრიკების მიუხედავად, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მშვიდობიანი გზით გადაიჭრას კორეის საკითხი. კორეის საკითხი შეიძლება მოწესრიგდეს და კიდევაც უნდა მოწესრიგდეს პოლიტიკურ კონფერენციაზე, რომლის მოწვევა განზრახულია უახლოეს მომავალში.

კორეელი ხალხის სახელით ხან სერ იამ მოუწოდა ყველა კეთილი ნების ადამიანს კიდევ უფრო ძლიერ დაირაზმონ მშვიდობისათვის ბრძოლაში, განუწყვეტლივ ამხილონ და ჩაშალონ ომის გამჩაღებელთა ვერაგული ზრახვები.

იაპონიის დელეგატმა ტოკუსაბურო დანმა განაცხადა, რომ ახლა იაპონიის ტერიტორიაზეა უცხოელთა 700-ზე მეტი სამხედრო ბაზა, რომლებიც ხალხის სურვილის წინააღმდეგ შეიძლება გამოიყენონ ჩრდილოეთ კორეაზე თავდასასხმელად. იაპონია აქტიურად იარაღდება. რემილიტარიზაციის პოლიტიკას სულ უფრო და უფრო ეწინააღმდეგება იაპონელი ხალხი. პრემიერ-მინისტრ გ. მ. მალენკოვის ამა წლის 8 აგვისტოს სიტყვამ, თქვა იაპონიის დელეგატმა, დიდი იმედი აღუძრა იაპონიის მოსახლეობას მით უფრო, რომ სსრ კავშირის მისწრაფება მშვიდობისადმი მთელი რიგი კონკრეტული მოქმედებით დადასტურდა.

თავისი სიტყვის დასასრულს ტოკუსაბურო დანმა იაპონიის დელეგაციის სახელით შეიტანა წინადადება, რომ თვითეულ ქვეყანაში მოეწყოს მოძძრაობა ომით დაზარალებული კორეელი ხალხისათვის დახმარების გასაწევად.

შემდეგ სესიის მონაწილეებს ვრცელი სიტყვით მიმართა ილია ერენბურგმა (სსრ კავშირი).

ილია ერენბურგის გამოსვლა

ერენბურგმა თქვა, რომ ერთ წელიწადში, რაც ხალხთა კონგრესის დროიდან გავიდა, მშვიდობის ძალები გაიზარდნენ. მაგრამ, განაცხადა მან, საფრთხე მაინც არ გაქარწყლებულა.

ჯერ კიდევ არ ჩაჩუმებულა იმ ადამიანთა ხმები, რომლებიც აშკარად მოუწოდებენ ახალი სისხლისღვრისაკენ. ატომის ენერგიის კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ ბ-ნმა დინმა განცხადებაში მოითხოვა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ატომური იარაღის ხმარება. ამერიკელ მრეწველთა ორგანიზაციამ „კომონუელ კლაბმა“ მოიწონა „პრევენტიული ომის“ იდეა და სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა უაილიმ დაადასტურა, რომ ასეთ მსჯელობას წარმატება აქვს მისი ქვეყნის საქმიან წრეებში.

მე ამაზე არ ვილაპარაკებდი, რომ შეგვძლებოდა ბ-ნი დინი ან საომრად განწყობილი ბიზნესმენები ფანატიკოსთა უმნიშვნელო ჯგუფისათვის მიგვეკუთვნებინა. მაგრამ ფართოდ გავრცელებული გაზეთები არა მარტო ბეუდავენ მოწოდებას ომისაკენ, არამედ ხშირად თანაგრძნობითაც უკეთებენ მას კომენტარს. ამერიკის პასუხისმგებელი პირები არ გმობენ ბ-ნ დინისა და მის მსგავსთა დეკლარაციებს და, თუკი რაიმეს უსაყვედურებენ მათ, ეს არის მხოლოდ მეტისმეტი სიფიცხე. თუ ზოგიერთი სახელმწიფოს პასუხისმგებელი პირების საქციელს შეავდრებთ თითქოს უპასუხისმგებლო მოწოდებებს, რომლებიც მე ვახსენე, უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ჩვენს წინაშეა უფრო ტემპერამენტების განსხვავება, ვიდრე მიზნების სხვადასხვაობა. ამბობენ, რასაც ფხიზელი ფიქრობს, იმას მთვრალი ამბობსო. მე ვშიშობ, რომ ბ-ნ დინის საომარი ძახილი არ შეურაცხყოფს ბ-ნ დალესს.

ერენბურგმა აღნიშნა, რომ შეიცვალა დალესის, ისევე როგორც მთელი რიგი სხვა სახელმწიფო მოღვაწეების განცხადებათა კილო. კილოს ეს შეცვლა, თქვა მან, გაგვახარებდა, იგი რომ ნიშნავდეს ომისა და მშვიდობის საკითხებისადმი მიდგომის შეცვლას. მაგრამ ამ სახელმწიფო მოღვაწეებმა, რომლებსაც არა სურთ გამოეთხოვონ თავიანთ გუშინდელ ოცნებას და ამასთან ერთად ძალულებული არიან ანგარიში გაუწიონ საზოგადოებრივ აზრს, გამონახეს „გამოსავალი“ — ერთი ილაპარაკონ, მეორე კი აკეთონ.

რა მიზნებს ისახავს ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწე, რომლებიც, აძლიერებენ რა ომის მოზადებას, აწყობენ რა ახალ სამხედრო ბაზებს და ადიდებენ რა მათს გამგებლობაში მყოფ არმიებს, განუწყვეტლივ ამეორებენ სიტყვებს: „წინადადებანი“, „თათბირები“, „მოლაპარაკება“, „გარანტიები“...?

პეროს ზლაპარში, რომელიც კარგად ცნობილია ყველა ბავშვისათვის, მგელი, რომელსაც სურს შეჭამოს პატარა გოგონა, თავზე იფხატავს მისი ბებიის ჩაჩს. ყველამ იცის, რომ საბჭოთა ხალხი, თუმცა მას ძლიერ უყვარს წითელი ფერი, სრულიადაც არა ჰგავს გულუბრყვილო წითელქუდას. მაგრამ ამისათვის, რომ მოატყუოს საბჭოთა კავშირი, ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწე წარმოთქვამს მშვიდობისმოყვარულ ტირადებს. მათ სურთ დაამშვიდონ თავიანთი მოქალაქეები, დაუმტკიცონ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მცხოვრებთ, რომ გადასახადების ზრდა, შეიარაღების გადიდება, სხვადასხვა სამხედრო ხელშეკრულება ამით აიხსნება, რომ მეორე მხარეს არა სურს გამოეხმაუროს მეგობრულ წინადადებებს: არავითარი მგელი არ არსებობსო; არის კეთილი, მომთმენი ბებია და მეტისმეტად ჭირვეული წითელქუდაო...

ის გარემოება, რომ ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწე იძულებულია ახლა მიმართოს კამუფლაჟს, ცხადყოფს მშვიდობის მომხრეთა ძალას, მაგრამ ყველა ხალხისათვის უდიდესი უბედურება იქნებოდა, ამ კამუფლაჟს რომ მათი სიფხიზლე შეესუსტებინა.

ერენბურგმა თავის სიტყვაში ცხადყო, რომ მსჯელობენ რა „მოლაპარაკებაზე“, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მოღვაწეები ამასთან ერთად ყველაფერს აკეთებენ, იყენებენ ყოველგვარ საბაბს, რათა შეუძლებელი გახადონ მოლაპარაკება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

შეერთებული შტატების სახელმწიფო მოღვაწეები მათთვის ხელმისაწვდომი ყოველგვარი საშუალებით აბრკოლებენ ჩინეთის კანონიერ წარმომადგენელთა დაშვებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ხელს უშლიან ჩინეთისა და ევროპის, ამერიკისა და აზიის სხვა ქვეყნების მშვიდობიან ურთიერთობას.

ავიღოთ სხვა საკითხი, რომლის მოწესრიგებისათვის პასუხს აგებს ოთხი დიდი სახელმწიფო: ამერიკის შეერთებული შტატები, სსრ კავშირი, ინგლისი და საფრანგეთი — გერმანიის პრობლემა. ყველა ამტკიცებს, რომ საჭიროა შეიქმნას ერთიანი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანია. ამაზე არაერთგზის ულაპარაკნიათ მშვიდობის მომხრეებს. ამას იმეორებენ ის სახელმწიფო მოღვაწეებიც, რომლებიც ახლა ისწრაფვიან თავი გაასაღონ მოლაპარაკების მომხრეებად.

მაშ რა არის ხელის შემშლელი? შეთანხმებისადმი კეთილი ნების უქონლობა. არ შეიძლება მოლაპარაკებაზე მსჯელობდე და ამავე დროს ისეთ ღონისძიებებს ახორციელებდე, რომლებიც მოლაპარაკებას არა მარტო უშედეგოს, არამედ უაზროსაც ხდიან. არ შეიძლება გერმანიის გაერთიანებაზე შეთანხმებას მოითხოვდე და ყველაფერს აკეთებდე იმისათვის, რომ არა მარტო განამტკიცო ამ ქვეყნის გათიშვა, არამედ კიდევაც დააკანონო იგი... ყველასათვის ცხადია ორპირობა ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწისა, რომლებიც მოითხოვენ მოლაპარაკებას გერმანიის საკითხზე და ამავე დროს დაეინებით ცდილობენ რაც შეიძლება მალე დაამტკიცონ პარიზისა და ბონის ხელშეკრულებანი.

შემდეგ ერენბურგმა ცხადყო, რომ ამერიკის მმართველი წრეები ფუშავენ როგორც კორეის პრობლემის, ისე იმ საკითხის მოწესრიგებას, რომ განხორციელდეს განიარაღება და აიკრძალოს ყველა სახეობის იარაღი, რომელიც საფრთხეს უქმნის პირველ რიგში უმწეო მოსახლეობას იმ ხნის მანძილზე, რაც ჩვენი უკანასკნელი სესიის შემდეგ გავიდა, თქვა შემდეგ ერენბურგმა, ამ სახელმწიფო მოღვაწეებს ცოტა განცხადება როდი გაუკეთებიათ, რომ საჭიროა შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა. ამავე ხნის განმავლობაში ამ სახელმწიფო მოღვაწეებმა განმაცხადეს ამ მეორე ღონისძიებანი, რომელთაც შეუძლიათ მხოლოდ გაამწვავონ საერთაშორისო მდგომარეობა. ლაპარაკობენ რა შეთანხმების სასურველობაზე, მათ შეთანხმება დადეს ჰიტლერის ყოფილ მოკავშირესთან და სულიერ მემკვიდრესთან, შეთანხმება, რომელიც ბედუკუღმართ ესპანეთს აქცევს შესაძლო აგრესიის პლაცდარმად. ლაპარაკობენ რა ამაზე, რომ საჭიროა სამშვიდობო მოლაპარაკება, ისინი მოლაპარაკებას ეწევიან ომის შესახებ, რომ აკანონებენ და ახლო და შუა აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნები თავიანთ სამხედრო ბაზებად გადააქციონ. ისინი ირწმუნებიან, რომ გულწრფელი მშვიდობისმოყვარეობით ხელმძღვანელობენ, ნამდვილად კი აღადგენენ გერმანიის დივიზიებს და მეტად ძლიერ ზეგავლენას ახდენენ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებზე, რათა რაც შეიძლება მალე მიაღწიონ „ევროპის არმიის“ შექმნას. ამ გადაწყვეტილებებმა, რომლებსაც ჩვენი სესია მიიღებს, განაცხადა დასასრულ ერენბურგმა, შუქი უნდა მოჰფინონ მოლაპარაკებისა და შეთანხმების პრობლემას. ამ გადაწყვეტილებებმა ხელი უნდა შეუწყონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და ისინი მისაღები უნდა იყოს ყველა რწმენის მშვიდობისმოყვარე ადამიანებისათვის, ყოველა ქვეყნის პატრიოტებისათვის — ამერიკელებისა და ჩინელებისათვის, ინგლისელებისა და რუსებისათვის, გერმანელებისა და ფრანგებისათვის. ხალხები ელოდებიან ჩვენს სიტყვას. ისინი ხედავენ, რომ ახლა ყველა ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეები იძულებული არიან ანგარიში გაგვიწიონ. ბევრი მათგანი უკვე სხვანაირად ივალაპარაკეთ — ავალაპარაკეთ მშვიდობაზე. ჩვენ მათ ვაიძულებთ სხვანაირადაც იმოქმედონ — დათანხმდნენ მშვიდობაზე.

* * *

დილის სხდომაზე კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ვილჰელმ ელფესი (დასავლეთი გერმანია), მინერტ-კულინგი (ჰოლანდია), ანეკეა გოდინოვა-სპურნა (ჩეხოსლოვაკია), გოვინდ საპაი (ინდოეთი).

ავსტრიის მშვიდობის მომხრეთა საბჭოს სხდომა

ვენა, 23 ნოემბერი. (საკდესი). 21-22 ნოემბერს ინსბრუკში გაიმართა ავსტრიის მშვიდობის მომხრეთა საბჭოს სხდომა.

მოხსენება „საერთაშორისო მდგომარეობა და მშვიდობისათვის ბრძოლა ავსტრიაში“ გააკეთა პროფესორმა ჰენრიხ ბრანდვაინერმა. ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში საბჭოს წევრებმა გამოთქვეს პროტესტი საომარი მზადების წინააღმდეგ, რასაც დასავლეთ ავსტრიის ტერიტორიაზე ეწევიან, და სამხედრო პროპაგანდის წინააღმდეგ, რომელიც გამოიხატა ჰიტლერული არმიის ყოფილი ჯარისკაცებისა და ოფიცრების მრავალი „შეკრებით“ და „შეხვედრით“.

საბჭომ გადაწყვიტა მშვიდობის მომხრეთა კონფერენცია მოიწვიოს 1954 წლის თებერვალში. ავსტრიის მშვიდობის მომხრეთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია გრაცის უნივერსიტეტის პროფესორი, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი ბრანდვაინერი.

ენერგეტიკოსები სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და კოლმეურნეთა ყოფაცხოვრების ელექტროფიკაციის ბაფართოება გათვალისწინებულია განხორციელდეს სოფლის ელექტროსადგურებიდან მოიობული ენერგიის უფრო სრული გამოყენებისა და ახალი სასოფლო ელექტროსადგურებისა და ქარძალოვანი დანადგარების მშენებლობის გზით, აგრეთვე მტს-ებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახელმწიფო და მსხვილ სამრეწველო ენერგოსისტემებზე მიერთების გზით.

სოფლის მეურნეობის წარმოების შრომატევადი სამუშაოების ელექტროფიკაცია დაკავშირებულია მთელ რიგ ახალ, ტექნიკურად რთულ ამოცანებთან. ამ ამოცანების გადასაწყვეტად საჭირო ლონისძიების შემუშავების მიზნით ენერგეტიკოს ინჟინერ-ტექნიკოსთა საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების მიერ ქალაქ თბილისში სექტემბერში მოწვეული იყო სამეცნიერო-ტექნიკური თათბირი.

თათბირში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკის სამეცნიეროსაკვლევი ინსტიტუტების, სსრ კავშირის, სომხეთისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიების, უმაღლეს სასწავლებელთა, ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სამინისტროს და სხვა სამინისტროებისა და უწყებების ელექტრომექანიკური და მანქანათმშენებლობის ქარხნების, „გლავსელელექტროს“ საპროექტო, სამშენებლო, სამონტაჟო და საექსპლოატაციო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. მოსმენილ იქნა 8 მოხსენება და 21 თანამოხსენება სოფლის მეურნეობის ელიქტროფიკაციის აქტუალურ საკითხებზე.

1953 წლის დასაწყისისათვის საბჭოთა კავშირში ელექტროფიცირებული იყო 20.000 გამსხვილებული კოლმეურნეობა, 95 პროცენტი მტს-ებისა და 90 პროცენტი საბჭოთა მეურნეობებისა.

დიდი მუშაობაა გაწეული საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის დარგში. საქართველოში სასოფლო ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე 1940 წელთან შედარებით 14-ჯერ, ხოლო სოფლის მეურნეობის საწარმოო პროცესების ელექტროფიკაციაზე მომუშავე ელექტროამძრავების რაოდენობა 7-ჯერ გაიზარდა.

უკანასკნელი 2-3 წლის მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში აშენებულია ისეთი მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები, როგორიც არიან: ტირიფონჰესი — გორის რაიონში, კაბალჰესი — ლაგოდეხის რაიონში, სულორჰესი — ვანის რაიონში, ჟინვალჰესი — დუშეთის რაიონში, ყაზბეგჰესი — ყაზბეგის რაიონში და სხვ. წარმატებით მიმდინარეობს იგოეთჰესის (ქსპის რაიონში), დურიპშჰესის (გუდაუთის რაიონში), ჯირხვაჰესის (გაგრის რაიონში) და კახარეთჰესის (ადიგენის რაიონში) მშენებლობა.

ამავე პერიოდში საქართველოს კოლმეურნეობების ინიციატივით და სახსრებით აშენდა ისეთი საჩვენებელი საკოლმეურნეობათაშორისო სადგურები და ქვესადგურები, როგორიც არიან: ბოლნისჰესი, აბლარჰესი, მახოჰესი, ქვესადგურები სიონალის და ყვარლის რაიონებში და ა. შ. მთლიანად ელექტროფიცირებულია გურჯაანის რაიონი. ლესელიძისა და აკურის კოლმეურნეობებში 15-25 ელამძრავი მუშაობს სასოფლო-სამეურნეო პროცესების ელექტროფიკაციაზე.

ყოველივე ამის მიუხედავად, საქართველოს სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის ტემპი მაინც არ არის დამაკმაყოფილებელი. ამჟამად რესპუბლიკაში ელექტროფიცირებულ კოლმეურნეობათა რაოდენობა არ აღემატება 31 პროცენტს, მტს-ებისა — 78.6 პროცენტს და საბჭოთა მეურნეობებისა — 83 პროცენტს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისათვის საჭირო ენერგეტიკული ბაზის შექმნის საქმეში კოლმეურნეობებთან, სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროსთან ერთად მონაწილეობას მიიღებს ყველა ის სამინისტრო და უწყება, რომლებიც ელექტროსადგურებისა და ქვესადგურების მშენებლობას ეწევიან. ისინი ვალდებული არიან ქარხნების, ფაბრიკებისა და სხვა საწარმოებისათვის საჭირო ელექტროსადგურების მშენებლობისას გაითვალისწინონ ამ ფაბრიკა-ქარხნებისა და საწარმოების მახლობელ კოლმეურნეობათა მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე და უზრუნველყონ ამ სადგურებიდან კოლმეურნეობათა მომარაგება ელექტროენერგიით. ამ ღონისძიების განხორციელება, ცხადია, გააადვილებს და დაჩქარებს სოფლის ელექტროფიკაციისათვის საჭირო ენერგეტიკული ბაზის შექმნას. მთავარია ის, რომ მაქსიმალურად გამოყენებულ იქნას სასოფლო ელექტროსადგურების სიმძლავრეები, განსაკუთრებით დღისით, როდესაც სასოფლო ელექტროსადგურები არასაკმაო დატვირთვით მუშაობენ.

დაუშვებელია, როდესაც ელექტროსადგურები და განსაკუთრებით ჰიდროელექტროსადგურები მხოლოდ სოფლის განათებაზე მუშაობენ და ნაკლებად გამოყენებული არიან ან სრულიად არ არიან გამოყენებული საკოლმეურნეო წარმოებაში. 1952 წლის 1 ივნისისათვის ელიქტროფიცირებულ კოლმეურნეობათა საერთო რაოდენობიდან საწარმოო პროცესებზე ელექტროენერგიას იყენებდა 65 პროცენტი, მეცხოველეობაში საკვების მომზადებაზე — 18 პროცენტი, წყლის მომარაგებაზე — 11 პროცენტი, წველაზე — მხოლოდ 3 პროცენტი.

თათბირზე აღინიშნა, რომ არ კმარა ელექტროფიკაციის ბაზაზე სოფლის მეურნეობის ცალკე პროცეს

ჩინეთ-კორეის ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის გამო

ჯოუ ენ-ლაისა და კიმ ირ სენის სიტყვები

პეკინი, 24 ნოემბერი. (საკდესი). სინხუას საგენტოს ცნობით, გუშინ კორეა-ჩინეთის ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის დროს ჯოუ ენ-ლაიმ და კიმ ირ სენმა ერთმანეთს მიმართეს სიტყვებით.

ამ შეთანხმების ხელმოწერას, თქვა ჯოუ ენ-ლაიმ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს დღეს, როცა ამერიკის მთავრობა ყოველივე შესაძლებელს სჩადის, რათა გააჯანყოს პოლიტიკური კონფერენციის მოწვევა, ჩაშალოს ახსნაგანმარტებითი მუშაობა სამხედრო ტყვეთა შორის და ხელი შეუწყოს ლისინმანელთა რეაქციულ ხროვას ომის ისტერიაში, მიზნად ისახავს რა ჩაშალოს შეთანხმება დაზავების შესახებ. იგი ამტკიცებს, რომ ჩინელ და კორეელ ხალხებს ერთსულოვნად აქვთ გადაწყვეტილი და მზად არიან ბოლომდე იბრძოლონ კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმების მთლიანად შესრულებისათვის, კორეის საკითხის მშვიდობიანად გადაჭრისათვის. იგი ცხადყოფს, რომ ჩინელი ხალხი კვლავაც მხარს დაუჭერს კორეელი ხალხის სამართლიან საქმეს მანამდე, სანამ არ იქნება მიღწეული საბოლოო გამარჯვება.

ეს შეთანხმება ხელმოწერილია ინტერნაციონალიზმის სულიკვეთებით და თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე. მასში გამოხატულია ჩინელი და კორეელი ხალხების ტრადიციული საბრძოლო თანამეგობრობა და ორივე ქვეყნის თანამშრომლობა. იგი მთლიანად შეესაბამება ჩვენი ორი ქვეყნის ხალხთა ძირეულ ინტერესებს.

ჩვენი შეთანხმება ცხადყოფს, რომ ჩინელი ხალხი, რომელსაც თავმჯდომარე მაო ძე-დუნი ხელმძღვანელობს, დიდად აღტაცებულია შორეული აღმოსავლეთისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეში იმ უდიდესი წვლილით, რომელიც შეიტანა კორეელმა ხალხმა თავმჯდომარე კიმ ირ სენის ხელმძღვანელობით, თავისი გმირული ბრძოლით ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ. იგი ცხადყოფს, რომ ჩინელ ხალხს კორეელი ხალხის ახლანდელი ახალი ამოცანები ეროვნული ეკონომიკის აღდგენაში, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და კორეის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის ბრძოლაში მიაჩნია ისეთ ამოცანებად, რომლებსაც უშუალო დამოკიდებულება აქვთ ჩვენი საკუთარი ქვეყნის ინტერესებთან. იგი ცხადყოფს რომ ჩვენ მზად ვართ გაგიწიოთ მთელი დახმარება, როგორიც კი შეგვიძლია.

ჩვენი შეთანხმება გამოხატავს აზიის ხალხთა მძლავრ ერთიანობას. ეს სიმძლავრე სერიოზული გაფრთხილებაა რეაქციონერთა საერთაშორისო ხროვისათვის, რომელიც ამაოდ ცდილობს უკუღმა დაატრიალოს ისტორიის ჩარხი და კვლავ აზრობს აზიის ხალხთა მოძრაობის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. გამოღვიძებული და გამოღვიძების პროცესში მყოფი აზიის ხალხები ვერასოდეს ვერ მოითმენენ ვერც შეურაცხყოფას, ვერც აგრესიას. ის, ვინც ვერ შეითვისებს ამ გაკვეთილს, აუცილებლად კვლავაც დამარცხდება.

ჩვენი შეთანხმება მოწმობს მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის ქვეყნების ახალ თანამშრომლობას მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკის განხორციელებაში. ჩვენი შეთანხმება მშვიდობის შეთანხმებაა, იგი შეესაბამება შორეული აღმოსავლეთისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებს. თავისი არსით იგი მთლიანად განსხვავდება ეგრეთწოდებული „ურთიერთ თავდაცვის პაქტისაგან“, რომელიც დაიდო შეერთებული შტატების მთავრობასა და ლისინმანელთა ხროვას შორის. ამერიკელთა და ლისინმანელთა პაქტი მიზნად ისახავს შეიარაღებული ძალების გადიდებას და ომის მომზადებას, საერთაშორისო დაძაბულობის შექმნას და კორეელი ხალხის შემდგომ დამონებას. ამიტომ ეს პაქტი ეწინააღმდეგება კორეელი ხალხის ინტერესებს, შორეული აღმოსავლეთისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებს.

ჩინეთ-კორეის ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ დღეს ხელმოწერილი შეთანხმება და მოლაპარაკების შესახებ გამოქვეყნებული კომუნიკე, საბჭოთა მთავრობასა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის ამა წლის სექტემბრის წარმატებით მოლაპარაკებასთან ერთად სრული სიცხადით მოწმობს მშვიდობისა და დემოკრატიის მთელი ბანაკის ნამდვილ სოლიდარობას, ბანაკისა, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი, მოწმობს სოლიდარობას, რომელსაც ვერ შეარყევს ვერავითარი ცილისმწამებლური გამოსვლები ან შეურაცხყოფა ცდები, რომლებსაც იმპერიალისტები მიმართავენ.

კიმ ირ სენმა თავის სიტყვაში განაცხადა:

ჩვენს მიერ დღეს ხელმოწერილი შეთანხმება, რომელიც შეეხება კორეისა და ჩინეთის ეკონომიურ და კულტურულ თანამშრომლობას, კიდევ უფრო განამტკიცებს და განვითარებს კორეის და ჩინეთის ხალხთა ტრადიციულ ურღვევ, მეგობრულ სოლიდარობას, გაფფართოებს და განამტკიცებს ორი ქვეყნის ხანგრძლივ თანამშრომლობას ეკონომიკისა და კულტურის დარგში და უზრუნველყოფს ორივე ქვეყნის ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებს. ამავე დროს მას დიდი მნიშვნელობა აქვს შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის საქმისათვის.

შესაძლოა, რომ ომით მიყენებული უდიდესი ზარალის გამო კორეელი ხალხი წაიწყდება სიძნელეებს თავისი ეროვნული ეკონომიკის ომისშემდგომი აღდგენისა და თავისი ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანების მსვლელობაში. ამიტომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ გადაწყვიტა საჩუქრად გადასცეს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას მთელი საქონელი და ხარჯები, რაც მან კორეელი ხალხისათვის დახმარების გაწევისას გადასცა და გასწია ომის განვლილი სამი წლის მანძილზე. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ გადაწყვიტა აგრეთვე საჩუქრად მისცეს კორეელ ხალხს უდიდესი თანხა — 8 ტრილიონი იუანი როგორც საქონლის სახით, ისე ეროვნული ეკონომიკის აღდგენისათვის გადაუდებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ტექნიკური დახმარების ფორმით. ეს უზრუნველყოფს ყველა დარგში — საწარმოების, კავშირგაბმულობის საშუალებათა, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის — აღდგენისა და განვითარების დაჩქარების და ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მატერიალურ გარანტიას. ამასთან ერთად ერთი მილიარდი მანეთი მოგვცა სსრ კავშირის ხალხმა, რათა გამოვიყენოთ ომისშემდგომი ეკონომიური აღდგენისათვის. როგორც ძმას, ეკონომიურ და ტექნიკურ დახმარებას, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, გვიწევენ აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნები.

მტკიცედ მწამს, რომ მთელი ეს დახმარება კიდევ უფრო განუმტკიცებს მამაცობასა და რწმენას კორეელ ხალხს, რომლის წინაშე დასახულია თავისი ეროვნული ეკონომიკის აღდგენისა და რეკონსტრუქციის ამოცანა, შესაძლებლობას მოგვცემს გადავლახოთ ყველა სიძნელე და დაბრკოლება და ხელს შეგვიწყობს ჩვენი ეროვნული ეკონომიკის აღდგენისა და განვითარების და ჩვენი სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანების საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში სწორედ ისევე, როგორც მოვიპოვეთ ბრწყინვალე გამარჯვება ომში.

ამავამად შეერთებული შტატების მმართველები და ლისინმანელი ბანდიტები, რომლებიც უარს ამბობენ შეითვისონ კორეის ფრონტზე მიღებული სერიოზული გაკვეთილები, მოელი მსოფლიოს ადამიანთა ნებისა და მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, ცდილობენ შეაფერხონ და საბოტაჟი გაუწიონ კორეის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას.

კორეაში დროებითი ზავის დადებიდან ცოტა ხნის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დალესმა მოღალატე ლი სინ მანის ბანდასთან ხელი მოაწერა ეგრეთწოდებულ „ურთიერთ თავდაცვის ხელშეკრულებას“, რომლის მიზანია ამერიკის ჯარების შემდგომი დატოვება რესპუბლიკის სამხრეთ ნაწილში, რათა ისინი კვლავ ჩაერიონ კორეის საშინაო საქმეებში. შეერთებული შტატების მმართველები ხელს უშლიან პოლიტიკური კონფერენციის მოწვევას, რომელიც გათვალისწინებულია დაზავების შესახებ შეთანხმებით, და უხეშად აბრკოლებენ სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის შესახებ შეთანხმების შესრულებას.

კორეელი ხალხი შეუსუსტებელი დიდი სიფხიზლით ადევნებს თვალყურს მოწინააღმდეგის ხრიკებსა და ინტრიგებს და ჩინელი ხალხის მხარდაჭერით, მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ძალების მხარდაჭერით, რომლებსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი, განამტკიცებს კორეის დაზავების გამარჯვებას. იცავს რა უცხო სახელმწიფოთა მხრივ ჩაურევლობისა და კორეის საკითხის თვით კორეელი ხალხის მიერ მოწესრიგების პრინციპს, იგი კიდევ უფრო მტკიცედ იბრძოლებს თავისი სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისა და ხელშეუხებლობისათვის, აზიისა და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის.

ჰიულეტ ჯონსონის წერილი გაზეთ «იორკშირ პოსტში»

პეკინი, 23 ნოემბერი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი ბერლინიდან იუწყება:

18 ნოემბერს კენტერბერის ტაძრის წინამძღვარმა დოქტორმა ჰიულეტ ჯონსონმა ინგლისურ გაზეთს „იორკშირ პოსტს“ გაუგზავნა წერილი, რომელშიც კვლავ დაადასტურა თავისი რწმენა, რომ შეერთებული შტატები ბაქტერიოლოგიურ ომს აწარმოებდნენ. წერილში ნათქვამია:

სანამ ჩემს წინააღმდეგ გამოილაშქრებდით, მართლმსაჯულების ინგლისური გაგების თვალსაზრისით უფრო სწორი იქნებოდა გარჯილიყავით და წაგეკითხათ თუნდაც ზოგიერთი არსებული დოკუმენტი, რომელნიც მოწმობენ, რომ ბაქტერიოლოგიურ ომს ნამდვილად აწარმოებდნენ. მაგრამ იძულებული ვარ მოვიყვანო მოკლე ცნობები, რომლებსაც ემყარება ჩემი რწმენა, რომ ბაქტერიოლოგიური ომი წარმოებდა. ეი ეს ცნობები:

1) ადგილობრივ პირადად გამოკვლევა ინციდენტებისა, რომლებიც მოხდა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში. ამ რაიონებში მე დავათვალიერე ადგილი, აგრეთვე დავკითხე და მოვაწყე ჯვარედინი დაკითხვა იმისათვის, რომ დადასტურებინა იმ ადამიანთა ჩვენების სისწორე, რომლებმაც ნახეს მასობრივად თავმოყრილი მწერები და ან თვითონ სპობდნენ მათ, ან ამისათვის იწვევდნენ სპეციალურად მომზადებულ სანიტარულ რაზმებს.

2) მასალა, წარმოდგენილი პეკინისა და მუკდენის სამეცნიერო გამოფენებზე, სადაც შეკრებილია უამრავი დამამტკიცებელი საბუთი.

3) ჩემი საუბრები გამოჩენილ ბაქტერიოლოგებთან, მეცნიერებთან და ექიმებთან, რომელთაგან ბევრს მთელი მსოფლიო იცნობს, რომლებმაც დაადგინეს მრავალი დამამტკიცებელი ფაქტი.

4) ტყვედ წამოყვანილი ორი ამერიკელი მფრინავის კუნისა და ინოკის სიტყვიერი და წერილობითი ჩვენება.

5) შემთხვევათა დამსწრე ჩინელი ქრისტიანინ მღვდლების მოხსენება, რომელსაც ადასტურებს ყველა რწმენის 410 ქრისტიანი მოღვაწის ჩვენება, მათ შორის ანგლიკანური ეკლესიის სამი ეპისკოპოსისა და რომაული კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსთა ჩვენება.

6) ბ-ნ უილფრედ ბარჩეტის დამოწმება, რომელიც არა მარტო ესაუბრა ზემოხსენებულ მფრინავებს (და დაადასტურა, რომ ისინი თავისუფლად და მართლად ლაპარაკობდნენ), არამედ პირადადაც განიცადა ერთ-ერთი ასეთი ბაქტერიოლოგიური თავდასხმა.

7) ინტენსიური, ზუსტი და ფართო ღონისძიებანი, რომლებიც ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში მიღებულ იქნა ყველა პარაზიტისა და მწერთა მოსასპობად, უაღრესად ენერგიულ ჰიგიენურ ღონისძიებათა განსახორციელებლად და იმისათვის, რომ უზრუნველეყოთ აცრა მოსახლეობის რაც შეიძლება მეტი რაოდენობისათვის. ალბათ, მარტო ეს ღონისძიებანი დაჯდა მრავალი მილიონი, რაც ესოდენ საჭიროა სხვა ადგილებში ჩინეთის განვითარებისათვის.

8) და, ბოლოს, ის, რომ შინ დაბრუნების შემდეგ შევისწავლე: ა) ბ-ნ ივ ფარკისა და ბ-ნ კლოდ რუს მოხსენება ბაქტერიოლოგიური იარაღის შესახებ; ბ) მოხსენება იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის კომისიისა საერთაშორისო სამართლის პროფესორის და ავსტრიის კანონიკური სამართლის დოქტორის ბრანდვაინერის მეთაურობით; გ) მეცნიერთა საერთაშორისო კომისიის მოხსენება. ამ კომისიის წევრები პირადად ესაუბრნენ ზემოხსენებულ მფრინავებს, აგრეთვე ორ სხვა მფრინავს — ლეიტენანტ ფ. ბ. ო'ნილს და ლეიტენანტ პოლ ნისს. ეს მოხსენებანი, და კერძოდ უკანასკნელი მოხსენება შეიცავენ დიდძალ ფაქტიურ და მეცნიერულ დამამტკიცებელ საბუთს. ბი ბი სი (ინგლისის რადიომაუწყებლობა. —**რედ.**) და ინგლისური პრესა, მათ შორის თქვენი გაზეთიც, უგულებელყოფდნენ და ჩქმალავდნენ ამ მოხსენებებს.

რამდენად მოახდინა გავლენა ზემოხსენებულზე ამერიკელთა იმ განცხადებებმა, რომლებშიც კუნი, ო'ნილი და ნისი ახლა ყველაფერზე უარს ამბობენ და აცხადებენ, რომ მათი ჩვენება მიღებულ იქნა, როგორც კუნმა თქვა, „იძულების“ შედეგად, თუ ეს ნამდვილად იძულებით გააკეთეს, მათ თავისუფლად შეეძლოთ მიემართათ მეცნიერთა საერთაშორისო კომისიისათვის და ეთხოვათ მფარველობა ან განეცხადებინათ, რომ ცუდად გვეპყრობიანო. ნაცვლად ამისა ინოკმა, უპასუხა რა დოქტორ ნიდჰემს, განაცხადა, როცა ჩემი თვითმფრინავი ჩამოაგდეს, მეგონა მაწამებენ და, შესაძლოა, დამხვრეტენმეთქი, მაგრამ „რევოლვერი რომ ჩავბარე, მერე ხელი ჩამომართვეს და სიგარეტი მომაწოდეს. ჩვენი ურთიერთობა მართლაც ძმური იყო“.

ეს ოთხი კაცი ახლა აცხადებს, რომ მაშინ ისინი ცრუ ჩვენებას იძლეოდნენ და, როგორც უნდა ვივარაუდოთ, ტყუილს ეუბნებოდნენ კომისიას. მაგრამ თუ ისინი ნამდვილად მზად იყვნენ ტყუილი ეთქვათ ერთ შემთხვევაში, არცხვენდნენ რა თავიანთ ქვეყანას, რატომ არ შეუძლიათ მათ მეორე შემთხვევაშიც ასევე მოიქცნენ, განსაკუთრებით სიძულვილისა და სირცხვილის წინაშე, სამხედრო სასამართლოს მუქარის შიშით, შესაძლოა ვალი-ფორჯის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაგზავნის შიშითაც?

ბოლოს იკითხავთ, რატომ არ დართეს ნება წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს მოეხდინა გამოძიება. ამის პასუხი თქვენთვის ცნობილი უნდა იყოს. ჯერ-ერთი, ეგრეთწოდებული საერთაშორისო კომიტეტი ნამდვილად სრულიადაც არ არის საერთაშორისო. იგი შედგება შვეიცარიელ საქმოსანთა ჯგუფისაგან. მეორე, ეს იყო დამოუკიდებელ და ფხიზელ ექსპერტთა იგივე კომიტეტი, როგორც თქვენ მათ უწოდებთ, რომელმაც გამოიკვლია ოსვენციმის საშინელი სიკვდილის ბანაკი (სადაც გაზებით მოაშთეს და დაწვეს ოთხი მილიონი ებრაელი). ამ ადგილს თავისი საშინელებით პრეცედენტი არ მოეპოვება კაცობრიობის ისტორიაში. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა ვერ აღმოაჩინა ვერაფერი, რაზეც შეიძლებოდა ჩივილი, როცა იგი ამ ბანაკს ეწვია და როცა ბანაკში გაჩაღებული იყო მუშაობა. ასეთები არიან „დამოუკიდებელი და ფხიზელი ექსპერტები“.

არ შეიძლება დავჯერდეთ იმას, რომ საარწმუნოდ მივიღოთ „პრესისათვის განკუთვნილი ბიულეტენები“, რომლებსაც უშვებს ამერიკის ინფორმაციის სამსახური. საქმე ეხება საკითხებს, რომლებსაც ისტორია და კაცობრიობა საკუთარ განაჩენს გამოუტანენ. მე არ მაშინებს ის, თუ როგორი იქნება ეს განაჩენი, რადგან მწამს, რომ, ისევე როგორც ნაცისტური გერმანიის საქმეში, სამართლე გაიმარჯვებს და გზას გაიკაფავს. მე ვლოცულობ იმისათვის, რომ ეს მეტად ძვირად არ დაჯდეს.

სრული პატივისცემით,

ჰიულეტ ჯონსონი,

კენტერბერის ტაძრის წინამძღვარი.

საბჭოთა კავშირთან მეგობრობა ხელს უწყობს მშვიდობის შენარჩუნებას!

ედუარდ ერიოს საუბარი ასოციაცია „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ წარმომადგენლებთან

პარიზი, 24 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთ „ლუმანიტეს“ ცნობით, ეროვნული კრების თავმჯდომარემ, ქალაქ ლიონის მერმა ედუარდ ერიომ მიიღო ასოციაცია „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ რონის დეპარტამენტის სექციის ბიუროს დელეგაცია. დელეგაციამ მას გადასცა ტექსტი „საფრანგეთის უშიშროების და აყვავების პროგრამისა“, რომელიც საფრანგეთ-სსრ კავშირის“ ასოციაციამ ფრანგი ხალხის განსახილველად წარადგინა.

დელეგაციასთან საუბრის დროს ერიომ მოიწონა პრინციპი ამ პროგრამისა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ საჭიროა „საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის 1944 წლის 10 დეკემბრის ხელშეკრულება კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ გადაიცეს ჩვენი საგარეო პოლიტიკის საფუძვლად; განხორციელდეს სსრ კავშირთან მუდმივი კონსულტაციისა და კავშირის პოლიტიკა და, პირველ რიგში, გერმანიის საკითხში; ვიმოქმედოთ ბონისა და პარიზის ამ ხელშეკრულებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ, რომელთაც ჩვენ ქვეყანა მსხვერპლად მიაქვთ გერმანიის იმპერიალიზმისათვის“.

ასოციაცია „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ პროგრამაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ საჭიროა „გამოყენებულ და გაფართოებულ იქნას საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის 1953 წლის 15 ივლისის სავაჭრო შეთანხმება“ და „დაიდოს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმება კულტურის საკითხებზე“.

ედუარდ ერიომ დელეგაციას გაახსენა, რომ იგი ილაშქრებს ბონისა და პარიზის ხელშეკრულებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ, რომლებიც შეუთავსებელია საფრანგეთის უშიშროებასთან, და განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირთან მეგობრობა ხელს უწყობს მშვიდობის შენარჩუნებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 24 ნოემბერი. (საკდესი). პოლიტიკური კომიტეტის საღამოს სხდომაზე ახალი მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან აცილებისა და საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების ღონისძიებათა საკითხზე გამოვიდნენ დომინგოს რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ინგლისის, კანადისა და ურუგვაის დელეგატები.

დომინგოს რესპუბლიკის დელეგატმა ვრცლად ილაპარაკა იმის შესახებ, რომ საჭიროა „სულიერი და მატერიალური განიარაღება“, როგორც მშვიდობის მიღწევისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების წანამძღვარი. მაგრამ იგი აშკარა ფაქტების მიუხედავად ამტკიცებდა, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში შექმნილი დაძაბულობისათვის პასუხისმგებლობა აკისრიათ არა ამერიკის შეერთებულ შტატებს და მათ მიმდევარ ქვეყნებს, არამედ თითქოს საბჭოთა კავშირს.

კანადის დელეგატიც ჭეშმარიტების საწინააღმდეგოდ ამტკიცებდა, რომ არა დასავლეთის სახელმწიფოები, არამედ თითქოს საბჭოთა კავშირი და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები არიან პასუხისმგებელნი საერთაშორისო დაძაბულობისათვის. მაგრამ მან ამ თავისი უსაფუძვლო მტკიცების დასადასტურებლად ვერაფერი ვერ მოიყვანა. ვერც კანადის, ვერც დომინგოს დელეგატებმა ვერაფერი ვერ თქვეს იმ საბჭოთა წინადადებების არსის შესახებ, რომლებსაც შეიცავს სსრ კავშირის რეზოლუციის პროექტი.

პოლონეთის წარმომადგენელმა მ. ნაშკოვსკიმ ცხადყო დომინგოს რესპუბლიკის და კანადის დელეგატების მტკიცებათა ყალბი ხასიათი იმის შესახებ, თითქოს პოლონეთში რელიგიას სდევნიან.

ინგლისის წარმომადგენელმა ლოიდმა განაცხადა, რომ ინგლისის დელეგაცია ხმას ჰისცემს ყველა იმ წინადადების წინააღმდეგ, რომლებსაც შეიცავს სსრ კავშირის დელეგაციის რეზოლუციის პროექტი ახალი მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან აცილებისა და საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების ღონისძიებათა საკითხზე.

ურუგვაის დელეგატმა ზოგადი ფრაზებით ილაპარაკა, რომ საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დაცვა და ამ წესდების საფუძველზე „კოლექტიური უშიშროების“ განმტკიცება და ეს მიიჩნია საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების გზად. თავის სიტყვაში იგი სრულიად არ შეხებია საბჭოთა რეზოლუციის პროექტს.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა ვ. დავიდმა აღნიშნა, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში შეეჩერებლად იზრდება და მსოფლიო საზოგადოებრიობის სულ უფრო ფართო წრეების მხარდაჭერას პოულობს მოძრაობა, რომლის მიზანია საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგება შეთანხმებათა გზით მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის. მაგრამ იმისათვის, რომ სადავო საკითხები ნამდვილად გადაიჭრას, საჭიროა უწინარეს ყოვლისა ორივე მხარის კეთილი ნება. ასეთ კეთილ ნებას, აღნიშნა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა, განუხრელად იჩენს საბჭოთა კავშირის მთავრობა, რომელიც მუდამ ესწრაფოდა და ესწრაფვის საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას, ომის თავიდან აცილებას, მშვიდობიანი საშუალებებით ყველა საერთაშორისო დავის გადაჭრას.

ომისა და სიძულვილის პროპაგანდა, რომელიც სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ხორციელდება დასავლეთის ქვეყნებში და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებში, აღნიშნა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა, მიმართულია იქითკენ, რომ შეიქმნას შიშისა და ურწმენობის ატმოსფერო, რომელსაც იყენებენ შემდგომი გამალებული შეიარაღებისა და ახალი ომის მომზადებისათვის. მშვიდობის ინტერესებისათვის, განაცხადა ვ. დავიდმა, გენერალური ასამბლეა მოვალეა მჭარი დაუტიროს იმ ღონისძიებებს, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის რეზოლუციის პროექტით, რომელიც მოითხოვს ამგვარი პროპაგანდის დაგმობასა და აღკვეთას.

ამჟამად, განაცხადა შემდეგ ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა, საჭიროა, რომ გენერალურმა ასამბლეამ მიიღოს კონკრეტული გადაწყვეტილებანი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხზე. ასეთ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს შეიცავენ საბჭოთა კავშირის წინადადებანი.

ჩეხოსლოვაკიის დელეგაციას, განაცხადა დასასრულ ვ. დავიდმა, სსრ კავშირის დელეგაციის წინადადებანი მიაჩნია გადამწყვეტ წვლილად მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების საქმეში და ამიტომ მხურვალედ უჭერს მათ მხარს. ამ წინადადებათა მიღება უეჭველია გაერთიანებული ერების ორგანიზაციას დაუახლოებდა მისი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მიზნების მიღწევასთან, გაზრდიდა მის ავტორიტეტს და ხელს შეუწყობდა საერთაშორისო დაძაბულობის მნიშვნელოვან შენელებას.

რეპრესიების წინააღმდეგ კენიაში

დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკური კომიტეტის განცხადება

ლონდონი, 24 ნოემბერი. (საკდესი). დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება იმის გამო, რომ ინგლისის მთავრობამ გადაწყვიტა გამოიყენოს ბომბდამშენები კენიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად. განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამია:

„მთავრობის გადაწყვეტილება კენიის მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში გაოფთრებული დაბომბვის შესახებ ნიშნავს ახალ ეტაპს კენიის ზანგთა გაელეტის კამპანიაში, ნიშნავს ათასობით სრულიად უდანაშაულო და უმწეო ქალისა და ბავშვის მასობრივ გაელეტას“.

პოლიტიკური კომიტეტი მოუწოდებს ინგლისის მუშებსა და პროგრესულ მოძრაობას მხარი დაუჭირონ მოთხოვნებს კენიის მასობრივი დაბომბვის შეწყვეტის, იქიდან ინგლისის მთელი ჯარების გაყვანის, კენიის ზანგთა კავშირის აკრძალვის გაუქმებისა და ამ ქვეყნის ზანგი ლიდერების განთავისუფლების შესახებ. კომიტეტი აგრეთვე მოუწოდებს მხარი დაუჭირონ კენიაში მზეცობის წინააღმდეგ პროტესტის საერთო ეროვნულ დღეს, რომელიც დანიშნულია 9 დეკემბერს.

მოსადიკის გასამართლება

თეირანი, 24 ნოემბერი. (საკდესი). მოსადიკისა და ირანის არმიის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსის გენერალ რიაჰის საქმის გამო სასამართლო პროცესზე 22 და 23 ნოემბერს საბრალდებო სიტყვას განაგრძობდა გენერალური სამხედრო პროკურორი აზმუდე.

23 ნოემბრის სხდომაზე მოსადიკმა სასამართლოს თავმჯდომარეს სიტყვა სთხოვა და განაცხადა, რომ პროკურორი მას ბრალად სდებს „უღმერთობას“, რათა იგი, მოსადიკი მოკლან.

თავმჯდომარემ წინადადება მისცა პროკურორს აღარ შეეხოს შემდგომში რელიგიის საკითხებს.

„სპარტაკის“ პირველობა სანტენდერში

თბილისის მონადირეთა კავშირის სტენდზე დამთავრდა ნეკტარეულა-სანტენდერ სროლაში ბაყოფლობის ჩასპორტი. საზოგადოება „სპორტაკი“ ცენტრალური საბჭოს 1953 წლის პირად პირველობაზე.

ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, კუიბიშევისა და სხვა ქალაქების უძლიერესმა მსროლელებმა, რომელთა შორის იყვნენ სპორტის ოსტატები და პირველთანრიგოსნები.

მსროლელ ქალთა შორის მისვლით სროლაში ყველაზე კარგი შედეგი მოიპოვა სპორტის ოსტატმა ლენინგრადელმა კ. სმირნოვამ, რომელმაც 50 მფრინავი სამიზნედან დაიხიანა 26. მანვე პირველი ადგილი დაიკავა ადგილიდან სროლაში. წყვილ სამიზნეზე სროლაში „სპარტაკის“ ჩემპიონი გახდა სპორტის ოსტატი კ. ტიტოვა (კუიბიშევი).

მძაფრი ბრძოლით ხასიათდებოდა ნახევარფინალური და ფინალური შეჯიბრება ვაჟთა შორის ადგილიდან სროლაში. პირველი ადგილი დაიკავა სპორტის ოსტატმა კიეველმა ი. ნიკანდროვმა, რომელმაც 200 სამიზნედან დაიხიანა 185. ი. ნიკანდროვმა პირველი ადგილი დაიკავა აგრეთვე მისვლით, მრგვალ სტენდზე და წყვილ სამიზნეზე სროლაში.

თბილისელმა ზ. მაჩხანელმა, რომელიც შეჯიბრებაში კონკურსგარეშე იღებდა მონაწილეობას, ადგილიდან სროლაში 200 სამიზნედან დაიხიანა 182.

შეჯიბრებაში გამარჯვებულ სპორტსმენებს საზეიმოდ გადაეცათ „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს გარდამავალი ჯილდოები და ფასიანი საჩუქრები.

„საქართველოს კომუნისტი“ № 11

გამოვიდა და ხელმოწერილს ურიგდებათ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“ № 11.

ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი მასალები:

მოწინავე „მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეების ტრიუმფი“;

კ. ე. ვოროშილოვი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავი;

საინფორმაციო ცნობა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ;

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება;

ჟურნალში დაბეჭდილია სტატიები: ე. ბურჭულაძე — „კომუნისტური პარტია სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ბრძოლაში“; ვ. აბულაძე — „საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობა“; ვ. ონიანი — „სოციალისტური კულტურის მძლავრი აღმავლობა მეხუთე ხუთწლედში“.

განყოფილებაში **„საერთაშორისო თემაზე“** დაბეჭდილია თ. ფურცელაძის სტატია — „ამერიკის იმპერიალიზმის დანაშაულობათა გზა“.

ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში

26 ნოემბერს საღამოს 8 საათზე მოეწყობა სემინარი პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტებისათვის თემაზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება „საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. სემინარის ხელმძღვანელია პროფესორი ს. ბერაძე.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურციკიძე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

26 ნოემბერს	დ. თორაძე— **ბუბინიანი** (ვ. ჭაბუკიანი მონაწილეობით).
27 ნოემბერს	პ. ჩაიკოვსკი— **ევგენი ონეგინი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის სახელმწიფო სირკი

ძალების—საცირკო ხელოვნების ოსტატთა
გამოსამშვიდობებელი გასტროლები
**დიდი საჰაერო ატრაქ